

1-12 სტრ., 1r

ცხოვრება ფარნავაზისი რომელი იყო კ~ლი მეფე ქართლისა მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შ~ა რომელსა [...]ვა ფარნავაზ, ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი ნათესა ვი უფლოსი მცხეთოს ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი, და იყო იგი ძმისწული სამარისი რომელი მოსლვასა მას ალექს ანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ იყო ესე სამარ და ძმა მისი მამა ფარნავაზისი მოკლულ იყო ალექსანდრესგან. ხ~ დედასა ფარნავაზისასა წარეყვანა ფარნავაზ გ წლისა ყრმა და შელტოლ ვილ იყო კავკასიად, მუნ აღზრდილი იყო და მოსრულ იყო მცხეთას მამულსა თვისსა, ხ~ ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი მხედარი და შემ მართებელი და მონადირე ჯელოვანი: და იმაღვიდა იგი სიკეთესა თვისსა აზონის შიშისაგან, ხ~ მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისსა, და შეიყვარა იგი აზონმან მონადირეობისათჳს, ევედრებოდა ფარნავაზს დედა თჳსი, შვილო ჩემო ეკრძალე აზონს და ნუ რარას იჩინებ სიკეთესა თავისა შენისასა, ნუ უკვე მოგკლან შენ და იყო შიში და ძრწოლა მას ზ~ა, რქვა ფარნავაზს შვილო ჩემო დაუ ტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ას პანს ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი ჯელისაგან აზონისა და დაამტკიცეს განძრახვა ესე წარსლვა ისპანსა ჭირ უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდისა დაამტკიცა წარსლვა. მაშინ იხილა სიზმარი ფარნავაზ, რეცა იყო იგი სახლსა შ~ა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსლვა და ვერ განვი და მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა, და მოერტყა წელთა მისთა, განიზიდნა და განიყვანა სარკუმელსა მას და ვითარ განვიდა

1-24 სტრ., 1v

ველად, იხილა მზე ქვე მდებარედ. მიყო ჯელი მისი მოხოცა ცვარი პირ[...]
მისასა და იცხო პირსა მისსა განიღვიძა ფარნავაზ და განუკვირდა სიზმარი იგი ესე არს მე წარვალ ისპანს და მუნ სიკეთესა მივეცემი. ხ~ მას დღესა შ~ა განვიდა ნადირობად მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დილომისასა, და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შ~ა ტფილისისათა, მის დევდა ფარნავაზ სტყორცა ისარი, და კრა ირემსა და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა, და მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა. და დღე იგი მწუხრი, გარდახდა და დაჯდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე იგი, და დილეულმცა წარვიდა. ხ~ კლდისა მის ძირსა იყო ქვაბი იყო რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძველად, და სიძველითა შექმნოდა დარღვევა შენებულსა მას, მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი, ხ~ აღმოიღო ფარნავაზ ჩუგლუგი, და გამოარღვია კარი ქვაბისა მის, რათამცა შიგან დაიმშრალა წვიმისაგან და შევიდა ქვაბსა მას, და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და

ვეცხლისა, მაშინ ფარნავაზ განკვირდა და აღივსო სიხარულითა და მოეგონა სიზმარი იგი, და დაკრძალა კარი ქვაბისა ეგრეთვე, მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თვისსა, და ორთა დათა მისთა, მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი სახედრებითა და ჭურჭლებითა და იწყეს გამოღებად განძისა მის, და დაფლვად სიმარჯვესა თვ[...] ვით არ განთენდებოდის კ~ დ ეგრეთვე აღმოქმნიან კარი ქვაბისა მის და ესრეთ გამოკრიბეს განძი იგი ხუთ ღამე, და დაიგულეს სიმარჯვესა მათსა. მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თვისი ქუჯისა თანა და რქვა მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა და ძმისწული სამ არა მამასახლისისა და არს ჩემ თანა ხვასტაგი დიდ ძალი, აწ ინ[...]

1-24 სტრ., 2r

რათა მით ხვასტაგითა მოვიდუე შენთანა, და ვიყვნეთ ჩვენ ძმა და ვიხმ აროთ ჩვენ ხვასტაგი იგი ორთავე; გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონ ერისთავსა, და სვემან ჩვენმან გვეცეს ჩვენ ძლევა კეთილი; მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა, და რქვა აღდეგ და მოვედ ჩემ თან, და ნუ შურობ ხვასტაგსა შ~ნსა, და ხვასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვსჩნდეთ მტერად აზონისა. მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყვედი [...]ლთა მისგან და მიწყვედულთა და ვგონებ რომელ რომთა მათგანნიცა გამო გვერთნენ რამეთუ ურიცხვნი აწყვედილ არიან მათგანნიცა აზონისგან; მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულით, და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა, დედა და დანი მისნი მისთანა, და მივიდა ქუჯის თანა. რქვა მას ქუჯი შენ ხარ შვილი თავთა მათთა ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი, და უკეთუ მოგვეცეს ძლევა შენ ხარ უფალი ჩვენი, და მე ვარ მონა შენი, მაშინ მაშინ შეიერთნეს და ეზრაახნეს ოვსთა, და ლეკთა ხ~ მათ განიხარეს არა სთნდათ მიცემა ხარკისა აზონისა, და გამო[...] სევნეს ოვსნი, და ლეკნი, და განიმრავლეს სპანი. ეგრისით შეკრბეს [ს]პანი და მომართეს აზონს; ხ~ აზონმან მოუწოდა სპათა თვისთა და შემოკრიბნა; მაშინ ათასი მხედარი რჩეული ჰრომთა მათგანი რომელთა ბოროტი წაკიდებოდა აზონისაგან განუდგეს აზონს, და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა, მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს, ხ~ სპანი რომელ დარჩომილ იყვნეს ვეღარა მიენდო მათ, რ~ ყოველთა ზ~ა ბოროტის მოქმედ იყო, წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შ~ა კლარჯეთისათა; ხ~ მო

1-25 სტრ., 2v

ვიდა ფარნავაზ მცხეთას, და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი, და მასვე წელიწადსა შ~ნა დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯ

ეთისა. ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ან ტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა, ძღვენი დიდძალი და აღუთქვა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზა, ხ ანტიოქოს შეიწყნარა ძღვენი მისი, და უწოდა შვილად თვისად და წარმოსცა გვირგვინი და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა რათა შეეწეოდნენ ფარნავაზს, ხ წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფ დ და მომართა ფარნავაზს, ხ ფარნავაზს განემრავლნეს მხედარნი ქართლისანი მოუწოდა მათ, და უკმო ქუჯის და ოვსთა, და შეკრბეს ესე ყო ველნი, და მოერთნეს ანტიოქოზისნი სომხითით, და ესე ყოველნი შე კრიბნა ფარნავაზ, და მიეგება ნაქალაქეცსა არტანისასა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური. და ეწყვნეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდ ძალი, და მოსწდეს ორგნითვე ურიცხვნი. ხ იძლ ივნეს ბერძენნი ფარნავაზისგან, ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლ ეს აზონ, და ურიცხვნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყვე ჰყვეს. და წარ ვიდა ფარნავაზ და მოტყუვევნა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანთ ორისა, და ეკლეცით შემოიქცა, მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა; ხ სიმდიდრესა ზა მისსა დაე რთო ხვასტაგი აზონისცა, და იქმნა სიმდიდრე გარდარეული. ხ ეგრის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს გა ნდგომა ბერძენთა; მაშინ ფარნავაზ მისცა და მისი ოვსთა მეფესა ცოლად; და მეორე და მისცა ქუჯის დედის ძმისათვის ცოლად, და მის ცა ქუჯის ეგრის წყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე რომელსა შა არს ეგრისი და სვანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან

1-24 სტრ., 3r

ქუჯი აღაშენა ციხე გოჯი, მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყ თა მტ ერთა მისსთაგან. და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზა. განამრავლნა ყ ლი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი, ა გაგზავნა მარგუის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან რომელ არს ლიხი ვიდრე ზღვადმდე რიონს ზემოთ, და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი შორაპანი, და დიძნა. გაგზავნა მეო რე კახეთის ერისთავად, და მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე რომელ არს კახეთი და კუხეთი; მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად და მის ცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე. და გაჩიანთამდ ის რომელ არს გარდაბანი; მეოთხე გაგზავნა სამშვილდეს ერ ისთავად და მისცა სკვირეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე რომელ არს ტაშირი, და აზოცი; მეხუთე გაგზავნა წუნდას ერისთავად და მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი; მეექვსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად და მისცა ტასის კართგან ვიდრე არსიანთამდის. ნოსტის თავითგან ზღ ვამდის რომელ არს სამცხე და აჭარა; მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთს

ერისთავად და მისცა არსიანითგან ზღვადმდე, და ქუჯი იყო ერის
თავი ეგრისისა; მერვე დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგ
ვითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა ქართ
ლი; და ესე სპასპეტი იყო წინაშე მეფისა ყ^რდვე მთავრობით განაგებდ
ის ყოველთა ერისთავთა, ხ^რ ამათ ერისთავთა ქვეშე, ადგილთა და
ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასის თავნი და მათ ყ^რლგან
მოვიდოდა ხარკი სამეფო, და საერისთო; ესე ესრეთ განაწესა ესე ყოველი
ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა, და მოიყვანა ცო

1-25 სტრ., 3v

ლი დურძუკელთა ნათესავი კავკასისი; ამან ფარნავაზ მოზღუდა
ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყ^რლნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი მოოხ
რებულნი ალექსანდრესგან, ამან აღაშენნა იგინი, და ვერღარა იძიეს შური
ბერძენთა ფარნავაზსა ზ^რა, რამეთუ უცალო იყვნეს იგინი უფლისაგან
რომთასა; და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზ^რა თვისსა ესევე
არს არმაზი, და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა, ამართა კერპი იგი არმ
აზ თავსა ზედა ქართლისასა. და მიერიტგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და
ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა; ოცდაშვიდისა წლ
ისა მეფე იქმნა. სამეოცდახუთს წელს მეფობდა ნებიერად მსახურებდა
იგი ანტიოქოსს მეფესა ასურასტანისასა; და ყოველნი დღენი მისნი რა
დაჯდა მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი; ხ^რ თვენი გა
ზაფხულისა და სთულისა არისანი, დაყვნის მცხეთას სამეფოსა ქალაქსა, და
თვენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა, ხ^რ თვენი ზაფხულისანი წუნდას
და ჟამითი ჟამად მივიდის ეგრისს, და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი
და კლარჯნი, და განავსი ყოველი საქმე დაშლილი; ხ^რ იგი რომნი ათასნი
მხედარნი რ^რლნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს რ^რლი ზემოთ ვახსენეთ,
იგინი განყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა იპყრა იგინი კეთილად, რ^რ ბ
რძოლასა მას აზონისასა მკნედ იყვნენ, და უწოდა მათ სახელად აზნაურ
ნი, რადგან წარვიდა ალექსანდრე არღარა ჭამდეს კაცსა თვინიერ რ^რლი შე
სწირიან კერპსა მსხვერპლად. იყო განსვენება და სიხარული ყ^რლსა ქა
რთლსა ზ^რა მეფობისათვის ფარნავაზისასა, და იტყოდეს ამას ყ^რლნი ვმ
ადლობთ სვესა ჩვენსა რამეთუ მოგვცა ჩვენ მეფე ნათესავთაგან
ჩვენთა, და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან; და ესე ყ^რლი
ადასრულა ფარნავაზ სიმხნითა და სიქველითა სიბრძნითა და სიმდიდრითა
ესვა ძე და უწოდა სახელი საურმაგ, ესე ფარნავაზ იყო კ^რლი მეფე ქართ

1-24 სტრ., 4r

ლსა შ^რა, ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართული
და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შ^რა თვინიერ ქართულისა, და ამან
შექმნა მწიგნობრობა ქართული, და მოკუდა ფარნავაზ და დაფლეს წინა
შე კერპისა არმაზისა; შემდგომად ამისსა დაჯდა მეფედ ძე მისი სა

ურმაგ.

მეორე მეფე ქართლისა საურმაგ ფარნავაზის ძე;

მესამე მეფე იქმნა ცოლისა მისისა ნათესავი დედის წული შვილობილად დაიჭირა მირვან:

ამისა შ~დ მეოთხე მეფე იქმნა ძე მირვანისა ფარნაჯომ ნებროთიანი,

შემდგომად ამისსა სომეხთ მეფის ძე არშაკ იქმნა მეხუთე მეფე ქართველთა ზ~ა

შ~დ ამისა მეექუსე მეფე იქმნა ძე მისი არტაგ და ორ წელ იმეფა.

შ~დ ამისსა ძე მისივე მეშვიდე მეფე იქმნა ბარტომ,

შ~დ, ამისა იქმნა მერვე მეფე ქართლისა მირვან ფარნავაზიანი.

შ~დ ამისსა მეცხრე მეფე იქმნა ძე არშაკ მირვანისა ნებროთიანი.

შემდგომად ამისსა მეათე მეფე იქმნა ადერკი ძე ბარტომისა არშაკუნიანი,

შ~დ ია მეფე იქმნა ბარტომ და ქართამ ძენი ადრეკი მეფისა არშაკუნიანი.

შ~დ იბ მეფენი ფარსმან და კაოს ძენი ბარტოსი და ქართამის არშაკუნიანი.

შ~დ იგ მეფენი აზორკ და არმაზელ ძენი ფარსმანისა და კაოსისა არშაკუნიანი.

შ~დ იდ მეფენი ამხსპ და დეროკ ძენი აზორკ და არმაზელისანი არშაკუნიანი.

შ~დ ი~ე მეფენი ფარსმან ქველი და მირდატ ძენი ამაზასპისა და დეროკისა არშაკუნიანი.

შ~დ ი~ვ მეფე ადამი ძე ფარსმან ქველისა არშაკუნიანი.

შ~დ იზ, მეფე ფარსმან ძე ადამისი არშაკუნიანი,

შ~დ ი~წ მეფე ამაზასპ ძე ფარსმანისა არშაკუნიანი.

შ~დ ით, მეფე რევ არშაკუნიანი.

1-23 სტრ., 4v

შ~დ კ მეფე ვაჩე ძე რევისა არშაკუნიანი.

შ~დ კა მეფე ბაკურ ძე ვაჩესი არშაკუნიანი.

შ~დ, კბ მეფე მირდატ ძე ბაკურისა არშაკუნიანი.

შ~დ კგ, მეფე ასფაგურ ძე მირდატისა არშაკუნიანი.

ამან ასფაგურ აღაშენა ციხე ქალაქი უჯარმა, ხ~ ალექსანდრეს მეფობითგან ესე ყ~ნი მეფენი მეფობდეს ქართლსა შ~ა, და იყვნეს კერპთმსახურ, და ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა, და ამისზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასერ ანუშარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალანიანი რ~ლი იცნობების არდაშირობით ვ~ა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა, ხ~ სომხითს მეფე იქმნა კოსაროს, და ამან[.....] და ამან კოსაროს სომეხთა მეფემან უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწეოდა მას ასფაგურ მეფე ქართველთა და ამას ასფაგურ განუხვნეს კარნი კავკასიათა და გამოიყვანეს ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი, და მივიდის კუსარე

მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა, და პირველსავე შესვლა
სა სპარსეთად, ეწყო ქასერ მეფე სპარსთა და აოტეს იგი და მოსრეს
სპა მისი, და მიერთგან ვერღარა წინა აღუდგა, ამათ მეფე იგი სპ
არსთა, და განამრავლეს შესლვა სპარსეთად და ტყვევნა, სპარსეთისა: ხ~ დაე
სრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი, და სომეხთ მეფის ძენი.

შემოსლვა სპარსთა ქართლს შ~ა და მეფობა მირიანისა.

ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე
სპარსთა და განამრავლეს შესლვა სპარსეთსა, და ოხრება სპარსეთისა
და ვერღარა ოდეს წინა აღუდგა მეფე სპარსთა, მაშინ მეფემან სპარსთა

1-22 სტრ., 5r

მან მწუხარებითა შეპყრობილმან, მოუწოდა მთავართა სოფ
ლებისათა, პიტიახშთა, და ერისთავთა და იწყო განძრახვა და ეძიებ
და ღონებასა ბოროტისა მის მოწვევნილისასა, და აღუთქმიდა
ნიჰსა დიდსა და პატივსა რ~ლან უძიოს ღონე შურისგებისა;
ხ~ კრებულსა მას შ~ს, იყო წარჩინებული მთავარი სახელით
ანაკ, ნათესავისაგან კოსაროს სომეხთა მეფისა აღდგა იგი, წა
რმოდგა და თქუა ოტებულ არს სპა ჩვენი კოსაროს სომეხთა მეფ
ისაგან, აწყვედილ არიან მხედარნი ჩვენნი და დასდებია შიში და
ძრწოლა მათი სპარსთა ზ~ა, და განძლიერებულ არიან იგინი,
და ვერ ძალ გვიც წინააღმდეგომად მათდა, აწ ესე არს განძრახვა
ჩემი, რათა მშვიდობითა და ვედრებითა და ხარკისა მიცემითა და
ვამშვიდოთ კოსარო მეფე; ესე რომელ თქვა ანაკ არა გულითა
თქვა, არამედ სიმრავლესა მას უფარვიდა გულისა მისისა გა
ნზრახვასა; მიეახლა მეფესა და რქვა თვისგან უწყოდე არა ეს
რეთ არს განზრახვა ჩემი რომელ ვთქუ, არამედ ღირს მყავ
მარტოდ შენ წინაშე ზრახვად, და ვაუწყო მეფობასა შენსა გუ
ლისა განზრახვა ჩემი, მაშინ წარჩინებულთა მათ იზრახეს
თვის თვისად წინაშე მეფისა და წარვიდეს; მაშინ ფარულად მოუ
წოდა მეფემან ანაკს, და რქვა მეფესა ანაკ. მეფესა მე გიძიო ღონე შურის
გებისა კოსაროს ზ~ა, ესრეთ რათა წარვიდე მე მის თანა, დედა
წულით [...] ჩემითურთ, მე მომენდობის იგი ნათესაობისათვის
ჩემისა, და სვემან თქვენმან მოავლინოს კეთილად, და მოვკლა მეფე იგი და

1-22 სტრ., 5v

დავდვა თავი ჩემი შენთვის სთნდა განძრახვა ესე მეფესა, და წარ
მოვიდა ანაკ და ძმა მისი დედაწულითურთ, რეცა განდგომილად სპ
არსთა მეფისაგან; და მოვიდა საზღვართა სომხითისათა ქალაქსა რომ
ელსა ქვიან ხილახილა, საზამთროთა ადგილთა სომეხთა მეფეთასა;

იხილა რა მეფემან კოსაროს, დიდითა პატივითა შეიწყნარა, რა ყო
ვლითავე სიმარჯვითა მოსლვასა მისსა აჩვენებდა სარწმუნოდ და
ხედვიდა მეფე რა ყოვლითა მისთა მისდა მოემართა, მაშინ მის
ცა მას მეფემან პატივი, მეორედად მისსა საყდარსა აღიყვა
ნა სიხარულით და განსვენებითა, და დაყვნეს რა დღენი ზამ
თრისანი; მოიწივნეს დღენი ზაფხულისა და განდიდნეს მდი
ნარენი, წარვიდა მეფე მუნით, და მოვიდა არარატსა ქალაქ-
სა და განმზადებულ იყო კოსარო მეფე კად შესლვად სპარსეთსა
მაშინ დღესა ერთსა განვიდა მეფე ნადირობად და განყვეს
თანა ანაკ და ძმა მისი და იპყრნეს მახვილნი ლესულნი ფა
რულად საწვიმარსა ქვეშე სტეოედსა, და პოვეს დრო და მოკლეს მეფ
ე და ივლტოდეს; დევნა უყვეს მთავართა სომხითისათა, და
მოუსწრეს ვიეთმე ხიდსა და რომელთამე მოუსწრეს ფონსა და
იწყვიდინეს იწროსა შა, და ვერვინ წავიდნენ და მოკლნეს იგი
ნი და მოსრნეს ყოველნი ნათესავნი მათნი, და დაშთეს
ორნი შვილნი მათნი მამამძუძეთა მათთა. ერთი შეივლტოდა
საზღვართა საბერძნეთისათა. და მეორე საზღვართა სპარსეთისათა. ვა
ესმა ამბავი ესე სპარსთა მეფესა ქასრეს სასანიანსა აღივსო სიხარულითა და

1-24 სტრ., 6r

წარმოემართა ყლითა ძალითა მისითა, მოვიდა პირველად სომხითსა
და დაიპყრა სომხითი, მოსრა და ტყვე ჰყო ყოველი ნათესავი სო
მეხთა მეფისა; ხა ერთი ძე კოსარო მეფისა მცირე ყრმა შეილტ
ოდა საზღვართა საბერძნეთისათა. და მუნ იზარდებოდა რომელსა
ერქვა თრდატ მაშინ ვა დაიპყრა სომხითი სპარსთა მეფე
მან და შემოვიდა ქართლად, წარვიდა ასფაგურ ქართველთა მე
ფე ოვსეთს რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და [....]განამაგ
რნა ციხე ქალაქნი ხოლო რაჟამს შევიდა ასფაგურ ოვსეთს ეწია სიკვდილი
[.....]

და მუნ მოკუდა; ამას ასფაგურს არა ესუა ძე არამედ ასული ერთი
მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი. მცხე
თას ქალაქსა სპასპეტისა თანა რომელსა ერქვა მაიჟან. ზრახვა
ყვეს სავსეთა მწუხარებითა, და თქვეს არა ვაუფლოთ გულთა
ჩვენთა ზა მწუხარება რათა არა მიგველოს გონიერება, გარნა ვიძ
იოთ ღონე ჭირთა და განსაცდელთა ჩვენთათვის, მაშინ თქვა
მაიჟან სპასპეტმან, უკუეთუმცა იყო ჩვენთანა ძალი ესე ზო
მი, ჩვენმცა მესამედთა სპარსთა შევესწორებოდით. და მცავეს
ხენით თავნი ჩვენნი სიკვდილად და წინა აღუდეგით მათ და თუმცა
დარჩომილ იყო მკვიდრი მეფისა ჩვენისა; ანუ ნათესავი მეფეთა
ჩვენთა რომელიმცა ღირს იყო მეფობისა, დავდეგითმცა ციხე
ქალაქთა შინა და მივსცენით თავნი ჩვენი სიკვდილად და ვჭამეთმცა

ხორცი კაცისა ვა პირველ მამათა ჩვენთა; ად მოწევნად
სა ესრეთ ჟამსა მოუვლენია, რ მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სო
მხითისა, წაღებულ არს სომხითი რლსა ეკიდა სამეფო ჩვენი და აღულ

1-24 სტრ., 6v

ია პირი თვისი სპარსთა მეფესა, შთანთქმად ყლისა ქვეყანისა არავინ
არს ჩვენ თანა წინააღმდეგომი მისი, და დარჩომილა ერი ჩვენი ობ
ლად ვა ცხოვარნი უმწყემსონი, აწ ესე არს განზრახვა ჩვენი
რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მის
გან წყალობა, და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩვენდა, და ვევედ
რნეთ რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული ასფაგურ მეფისა
ჩვენისა. ვაუწყოთ ქალისა მის ნათესაობა ნებროთიანთა და
დიდებულთა არშაკუნნიანთა. და მეფეთა ჩვენთა ფარნავაზიანთა
და ვითხოვოთ მისგან დაჭირვა სჯულსა ზა მამათა ჩვენთასა და ვით
ხოთ არა აღრევა ჩვენ თანა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა
ჩვენი, ნუ უკვე შეიწყნაროს ვედრება ესე ჩვენი, და ყოს ესე ყო
ველი ჩვენ ზედა, და უკეთუ სჯულსა მამათა ჩვენთასა მოგვიღებდეს
და ჩვენ ზედა სპარსთა წარჩინებულ ჰყოფდეს და ნათესავსა მეფე
თა ჩვენთასა მოსწყვედდეს, სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩვენ
თათვის ვიდრე მონახვა ესე ვითარისა, დავსხნეთ თავნი ჩვენნი ცი
ხეთა და ქალაქთა და მოვსწყდეთ ყლნი;

მაშინ დაემოწმნენ ყნი

ერისთავნი ზრახვასა მაეჟან სპასპეტისასა, და წარგზავნეს მო
ციქული წინაშე სპარსთა მეფისა. და მოახსენეს ესე ყლი რლი
განეზრახა, ხ გამოიკითხა სპარსთა მეფემან, კლდ ქალაქისა მც
ხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი, და მახლობელ ხაზა
რთა და ოვსთა, და კდ გამოიკითხა გვარი ასფაგურის ასულისა.
და უთხრეს ნათესაობა ნებროთიანთა, და არშაკუნნიანთა, და ფარნავ
აზიანთა, კეთილად სთნდა მეფესა სპარსთასა და შეიწყნარა ვედრება

1-23 სტრ., 7r

ქართველთა რ თვითცა უკვე გამოარჩია მცხეთას დასმა მისა
თვისისა მეფედ, რ ყლთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისა
თა რანისა და მის კერძოსა უფროსად, და უმაგრესად გამოარჩია, და
მახლობელად ჩრდილოთა მტერთა რათა ბრძოდის მათ მუნით
დაიპყრობდეს ყლთა კავკასიათა; აღუსრულა ყოველი იგი
სათხოველი ქართველთა და მისცა ყსა ზა ფიცი და აღთქმა
და მოვიდა მცხეთას და მიეგება მაეჟან სპასპეტი, და ყლნი ერისთა
ვნი ქართლისანი: მაშინ მოიყვანა ასული ასფაგურ მეფისა
რლსა ერქვა აბეშურა, და შერთო სპარსთა მეფემან ძესა თვი

სსა რ~ლი მუნ თანა ჰყვა შვიდისა წლისა, ნაშობი მხეველისა რომელსა ერქვა სპარსულად მიჰრან და ქართულად მირიან; ესე მირიან იგი არს რ~ლმან ჟამსა სიბერისა მისისასა იცნა ღ~თი დამბადებელი, შეიწყნარა სახარება მოციქულთა წ~ისა ნინოს მიერ და იქმნა აღმსარებელ სამეზისა და თაყვანისმცემელ ჯვარისა პატიოსნისა

კ~დ მეფე მირიან ძე სპარსთა მეფისა ხოსროიანი:

აწ ვახსენოთ ცხოვრება მირიანისი ძისა ქასრე არდაშირისი სასა ნიანელისა

ვ~ა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა და შერთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა, მისცა მეფედ და დასვა მცხეთას, და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი, და ჰერეთი და იყო მირიან მაშინ წლისა შვიდისა და თანა ჰყვა დედა მირიანისი და არა დაუტევა მირიანის თანა, რ~ უყუარდა დედა მირიანისი ვ~ა თავი თვისი ა~დ დაუტევა მამამ ძუძედ და განმგებელად წარჩინებული

1-25 სტრ., 7v

ერთი რომელსა ერქვა მირვანოზ, და დაუტევა ორმოცი ათასი მხედარი სპარსი რჩეული, და არა დასხნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი ფიცისა მისთვის რ~ლი ფიცებულ იყო ქართველთად არამედ დასხნა ჰერეთს[სომხითარსა] და მოვაკანს და სომხითს; ხ~ უბრძანა მირვანოზს რათა სპარსთა მათგანი შვიდი ათასი მხედარი რჩეული ყ~დვე ქალაქსა შ~ა იპყრან მცველად ძისა მისისა და ესრეთ დამზავა ქართველთა რათა კარნი და ციხენი და ქალაქნი ყ~ლნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა. და სხვა სიმრავლე სპარსთა არა იყოს ქვეყანასა შ~ა ქართლისასა აღრეულად, და იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზ~ა, მამათა ჩვენთა ცეცხლის მსახურებასა, და თქვენთა კერპთასა, რ~ კ~ლად ამას ზ~ა მოეცა ფიცი;

და წარვიდა ქასრე მეფე და წარიხუნა ყ~ლნი ხევნი

კავკასიანთანი და დასხნა ყ~ლგან მთავარნი და უბრძანა მათ ყ~ლთა რათა იყვნენ მორჩილ ძისა მისისა მირიანისა და უბრძანა ძესა თვისსა მირიანს და მამამძუძესა მისსა მირვანოზს რათა ბრძოდიან ხაზართა და წარვიდა მეფე სპარსეთად, ხ~ ამან მირვანოზ მატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყ~თა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი, და აღიზარდა მირიან მსახურებასა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხ~ შეიყვარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული, და ისწავა ენა ქართული. და მატა შემკობა კერპთა და ბომონთა. კეთილად იპყრა ქურუმნი კერპთანი. და ყ~ლთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს მსახურებასა მათ კერპთასა. და

შეამკო საფლავი ფარნავაზისა. ესე ყლი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყლითა დიდებითა

1-23 სტრ., 8r

და შეიყუარეს იგი ყლთა ქართველთა, უმეტეს ყლთა მეფეთასა და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთითგან ქართლს. სომხითს. რანს. ჰერეთს, მოვაკანს და ეგრესს;

ვითარ იქმნა რა მირიან ათხუთმეტისა წლისა

მოუკვდა ცოლი ასული ქართველთა მეფისა. და ამას ზა დაესრულა

ქართლს შა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა, შე

წუხდეს ყლნი ქართველნი სიკვდილსა ზა დედოფლისა მათისასა

ა და დაადგრეს ერთგულებასა ზა მირიანისსა არცა ძალ ედვა და

არღარა ვინ იყო ფარნავაზიანთა ნათესავი. რლიმცა ღირს

ქმნილ იყო მეფობასა ქართველთასა. და ესრეთ შეიტკბეს ამის მიზეზის

ათვის მეფობა მირიანისი, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით პონტ

ოდთ ასული ულილოტოსისი სახელით ნანა, იწყო ბრძოლად ხა

ზართა, და მარადის ბრძოდის, ოდესმე გაადგენ მირიანსა ლეკნი

და მათ გამოიყვანიან რა ხაზარნი, მიეგების ჰერეთს ანუ მოვაკანს და მუნ

მუნ ეწყვის; ოდესმე გამოიყვანიან დურძუკთა და დიდოთა. მაშინ

ეწყვის და ვეროდეს სძლეს ხაზართა, და ყდვე მირიან სძლის, და ეს

რეთ მრავალგზის გარდაიხადა წყობა ხაზართა ზა, და უფროსი ლაშქ

რობა მისი იყვის დარუბანდს. რ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან

დარუბანდს მაშინ წარიღეს და განაღეს კარი ფართო და მუნით იწყეს გასლვად

სპარსთა ზა, ხ ოდეს მოვიდიან ხაზარნი

დარუბანდსა მაშინ წარვიდის მირიან შველად დარუბანდისა, ოდეს

მე უომრად მიდიან ხაზართა, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის; ხ

ოდეს იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა, მაშინ მოკვდა მამა მისი სპარს

თა მეფე; და დაჯდა მეფედ სპარსეთისა ძმა მირიანისა ურწემესი რო

მელსა ერქვა ბარტამ, და ვა ესმა ესე მირიანს მოუწოდა ყლთა სპათა

1-26 სტრ., 8v

მისთა შეიკრიბნა და წარემართა ბაღდადს რათამცა დაჯდა საყდ

ართა მამისა მისისათა, მაშინ ძმამან მისმან შეიკრიბნა სპანი

მისნი ურიცხვნი და მიეგება ბრძოლად ხევსა ზა ნასიბისასა;

და ვითარცა იხილეს მოხუცებულთა და მარზაპანთა სპარსეთისა

თა ვითარმედ მახვილი დაეცემის ურთიერთასა, აღდგეს მათ შს

მოციქულად და ბქედ, და დასჯერდეს ორნივე მეფენი ბჭობასა

მათსა და დასხდეს რა ბჭობად; მაშინ მირიან იტყოდა სარჩლად პირმშო შვილი

ვარ მე მამისა ჩემისა, და საუფლისწულოდ ებოდნეს ქვეყანანი უცხო

ნი მკლავითა წახმულნი, და მუნ დღენი ჩემნი ყლნი დამიყოფიეს

ბრძოლასა შინა ხაზართასა და მრავალგზის სისხლითა ჩემითა

დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან ამისთვის ჩემი არს საყდარი
მამისა ჩემისაჲ; ხ~ ბარტამ იტყოდა ამისთვის თუმცა პირმშო
არს იგი, არამედ ნაშობი არს მხევლისაჲ და ნაშობსა მხევლისასა
ეყოფის სვედ რომელ მას მიხვედრია სამეფონი; ხ~ მე ნაშობი
ვარ ჰინდოთა მეფისა ასულისა სპარსეთ დედოფლისა, და მოგისმე
ნია ანდერძი მამისა ჩემისა, და მოგინახავს რომელ ხელითა მისითა
დამადგა გვირგვინი თავსა ჩემსა; ხ~ მათ გაბჭეს და მისცეს მეფ
ობა სპარსეთისა ბარტამს, ხ~ მირიანს გულის სადებად მისცეს
ბარტამისგან, ჯაზირეთი და შამის ნახევარი. და ადარბადაგანი, და ესე ყ~ლი ქარ
თლსა, სომხითსა, რანსა, ჰერეთსა, და მოვაკანს ზ~ა მოურთეს: და
წარმოვიდა მირიან; ხ~ მირიან ვიდრელა ჯერეთ იყო მუნ გარდამოვლ
ეს ოვსთა ფეროშ და კავტია, და განრყუნეს ქართლი; ხ~ მირიან
გარეს გარე გარდავიდა ოვსეთსა. და მოიწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო
გზა დვალეთისა და მოვიდა შინა: და შემდგომად ამისსა რაოდენთამე
წელიწადთა ჩვეულებისაებრ მოვიდეს ხაზარნი ბრძოლად დარუბანდისა
ხ~ მირიან წარვიდა შველად დარუბანდისა, და ვიდრე იგი მუნ იყო წყობად

1-22 სტრ., 9r

ხაზართა, მაშინ მეფე გუთთა სპითა ურიცხვითა შევიდა
საბერძნეთს ხ~ მეფე ბერძენთა შეკრბა სპითა დიდითა და წი
ნა აღუდგა მაშინ მეფემან გუთთამან სთხოვა თავის
თავ ბრძოლა კეისარსა, ვერ ძალედგა ბრძოლა
მისი ხ~ იყო ძე კოსაროს სომეხთა მეფისა სახელით თრდატ
რომელი ვახსენეთ ზემო აღზრდილ იყო იგი საბერძნეთს, და იყო
იგი გოლიათი, მას ჟამსა შ~ა იყო იგი სპასა თანა ბერძე
ნთასა, იგი გამოარჩიეს ყ~ლთა სპათა ბერძენთა, და შემოსეს
იგი შესამოსლითა და საჭურველითა კეისრისათა, და კეისრის
სახედ გაუგზავნეს ბრძოლად გუთთა მეფისა ბრძოლად. გამოვიდა
მუნით გუთთა მეფე, და მიეტევნეს ურთიერთას ბრძოლად
სძლო თრდატ და ხელად შეიპყრა და იოტეს ბანაკი გუთთასი, ხ~
კეისარმან მისცნა სპანი თრდატს, და გამოგზავნა სომხით
სა მამულსა თვისსა; გამოვიდეს სომხითს, და გამოასხნეს სპა
ნი ერისთავნი მირიანისნი ,მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგ[ან]
ხაზართასა და მოიყვანა სპარსეთით თვისი ნათესავი მეფეთა სახე
ლით ფეროზ; და მან მოი[ტანა]იყუნა მან სპა დიდი და ამას
ფეროზს მისცა მირიან ასული თვისი ცოლად, და მისცა ქვეყანა ხუნა
ნითგან ბარდავამდე მტკვარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი
მუნ ერისთავად, და სხვაცა ძალი მოირთო სპარსეთით, და უწყო
ბრძოლად თრდატს, ხ~ ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთ
ით და მომართის მირიანს და მას ვერა სძლეუდის წინა აღდგომად გაამაგრნის

1-23 სტრ., 9v

ციხენი და ქალაქნი და მოვლის თრდატ ქვეყანა მისი, ოდ
ესმე განძლიერდის მირიან სპარსეთით. ვერ წინააღუდ
გის თრდატ, და მოვლის სომხითი ესრეთ და დაუცხრომელად
იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა. და არავინ
იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ მბრძოლი თრდ
ატისი; და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქვეყანასა და სძლო
ყ~დვე ბრძოლთა მისთა, ვ~ა წერილ არს ამბავი მისი ცხორებ
ასა სომეხთასა. შ~დ ამისსა მეფე იქმნა სპარსეთს ძმის წული
მირიანისა ძე ბარტამისი, მოუვლინა მირიანს მოციქული
და რქვა, რათა შევკრბეთ და გარდავლოთ სომხითი და შევიდეთ სა
ბერძნეთად; მაშინ გამოვიდა მეფე სპარსთა და მიეგება მი
რიან, და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი ვ~ა თივანი ველთა
და ფურცელნი ხეთანი, სიმრავლითა და გარდავლეს სომხითი
ვერ წინააღუდგა თრდატ, არამედ განამაგრნა ციხე ქალაქნი
და წარტყვენეს სომხითი. და შევიდეს საბერძნეთად, და ვერ წინა
აღუდგა მათ ბერძენთა მეფე კოსტანტინე, შთავარდა მწუხარ
ებასა დიდსა, იწყეს ტყუენვად საბერძნეთისა; მაშინ არ
წმუნეს მეფესა კოსტანტინეს, კაცთა ლ~ისმსახურთა და რქვეს
იხილეთ საკვირველება, ქრისტესი და ძლევა მტერთა მოსავთა
მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარძღვან
ებითა ჯვარისათა სძლევენ მტერთა მათთა: ხ~ კოსტანტინე მე
ფემან ირწმუნა მათი ვ~ა წერილ არს ესე განცხადებულად ცხ
ოვრებასა ბერძენთასა, ნათელ ილო კოსტანტინემ. და წარმო

1-24 სტრ., 10r

იძღვანა სახე ჯვარისა და ეწყო მტერთა სპარსთა მათ ურიცხვთა
სპითა მცირითა ,და ძალითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი და მო
სრა სიმრავლე მათი. ივლტოდეს ორნი იგი მეფენი მცირედით
ლა მხედრითა და მიუდგა უკანა კოსტანტინე და შევიდა საზღვართა
მათთა. და სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად. მეოტი ხ~ მირიან დადგა ქარ
თლად და განამაგრნა ციხე ქალაქნი, უღონო იქმნა მირიან და შემ
ინა შ~დ ოტებასა ქართლით, რ~ აწყვედილ იყვნეს წყობასა შ~ა
ყ~ლნი წარჩინებულნი მისნი სპარსნი და ქართველნი; წარგ
ზავნა მოციქულნი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა მისგან
მშვიდობა, და აღუთქვა მას მსახურება, და მოწყვედა სპარსთა
სთნდა კოსტანტინეს, რ~ შიში აქვნდა კვალად სპარსთა მეფი
საგან და შემწეობისათვის დაეზავა მირიანს, და გამოართვა შვილი
მირიანს მძევლად რომელსა ერქვა ბაქარ, და მოიყვანა თრდატ
და მირიან და ამძახნა, მისცა თრდატ ასული მისი რომელსა ერქვა

სალომე, ძესა მირიანისა ცოლად რომელსა ერქვა რევ; და განუჩინა საზღვა
რი ესრეთ, რ~ლსა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით მიერ
თვიან რახსსა, ესე ქვეყანანი თრდატის კერძათ დაყარნა; და
შუამდგომელ ექმნა მათ და წარვიდა: და მეფობდა მირიან მუნ ქართ
ლსა, რანსა, ჰერეთს, და მოვაკანს, და აქვდა ეგრისიცა ეგრის
წყლამდე, და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი.
და კუხეთი, და დასვა იგი უჯარმას რევ და ცოლი მისი სალომე ასუ
ლი თრდატისი და ცხოვრებდენ უჯარმას ხ~ ფეროზს სიძესა
მირიანისსა აქვდა ქვეყანა რ~ლი ზემო თავსა ვახსენეთ მიცემულად მირიან
ისგან, და იყო იგი მუნ ერისთავად; მას ჟამსა მოსრულ იყო წ~ა და ნეტ

1-24 სტრ., 10v

არი დედა და განმანათლებელი ჩვენი ნინა და დაეყო მცხეთასა
შინა სამი წელი და განაცხადა ქება ქრისტეს სჯულისა და
იქმოდა კურნებათა თვინიერ წამლისა, და ჳმა მაღლად იწყო
ქადაგებად ქრისტეს სჯულისა ჳ~ტისა ქრისტეს ღ~ისა ჩვენის
ასა;

მოქცევა მირიან მეფისა, და ყ~ისა ქართლისა წ~ისა და ნეტარისა დედისა
ჩვენისა მოციქულისა ნინოს მიერ, ქ~ეს განხორციელებითგან
წელსა ტლჳ

ჳ~დ ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოვლისა
ქართლისა განმანათლებელისა მოციქულისა ნინასი რ~ლი მანვე
ნეტარმან მოგვითხრა ჟამსა აღსრულებისა მისისასა რ~ლი აღწერა
მორწმუნემან დედოფალმან სალომე უჯარმელმან ძის ცოლმან მირიან
მეფისამან, ასულმან თრდატ სომეხთა მეფისამან, და იყო მას ჟამსა შინა
ოდეს წ~ა გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტესთვის: იყო კაბად
უკდთ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი მონა ღ~ისა სახელ
ით ზაბილონ, და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა
მსახურებად და ნიჭისა მოღებად მისგან; და მათვე დღეთა შ~ა კაცი
ვინმე იყო კოლასტრას შინა; და ესხნეს მას ორ შვილ ძე და ასული:
და სახელი ძისა მისისა იობენალი: ხ~ ასულისა სოსანა, აღეს
რულნეს ქმარი და ცოლი იგი, და დარჩეს და ძმანი იგი ობლად. აღდგეს
და წარვიდეს იგინი ქალაქად წმიდად იერუსალემად. და იმედ ყვეს იმედი იგი
ყოველთა ქრისტიანეთა წ~ა აღდგომა, და მიევედრნეს მუნ; ძმა ესე ძმა
იობენალი მიემთხვია დევტალარობასა ხ~ და იგი მისი სოსანა მს
ახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა; ხ~ ესე ჳაბუკი კაბადუკელი

1-26 სტრ., 11r

სახელით ზაბილონ რ~ლი ვახსენეთ, მიიწია ჰრომედ წინაშე მეფის, აღ
დგომილ იყვნეს მას ჟამსა ბრანჯნი ბრძოლად რომთა ველსა ზ~ა

პატალანისასა და მისცა უფალმან ძალი ზაბილონს ჭაბუკსა მას კა
 ბადუკელსა უძლეველი და ქმნა წინააღდგომა მტერთა მიმართ უზომოთა და აოტნა
 ბრანჯნი, და შეიპყრეს მეფე ბრანჯთა, და ყ~ლნი იგი მთავარნი მათნი
 და მიიყვანნა იგინი წინაშე მეფისა, ხ~ მეფემან განაწესა სიკვდილი
 მათი მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ. და ევედრებოდეს ზა
 ბილონს, მოგვეც კ~ლად სჯული შენი, და შეგვიყვანენ ტაძარსა ღ~ისა
 თქვენისასა და მაშინ იყავნ სიკვდილი ჩვენი რამეთუ შენ მიერ შევიპყ
 რობილ ვართ და შენვე ჰყავ ეს ჩვენ ზ~ა და უბრალო იქმნე სისხლისა ჩვე
 ნისაგან ახოვანო. ხ~ ზაბილონს ვ~ა ესმა ესე მსწრაფლ მივიდა
 იდუმალ პატრიაქისა, ფარულად მეფისა აუწყა მეფესა ყ~ლი, ხ~ პატრიაქმან მის
 ცა ნათელი კელსა ქვეშე ზაბილონისასა, და შეიყვანა ტაძარსა ღ~ისასა
 აზიარნეს საიდუმლოთა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და უჩვენნეს მათ დიდ
 ებანი იგი მოციქულთანი, და დილას ადრე ადგეს ბრანჯნი იგი და შეი
 მოსეს სამოსელი სამკუდროდ, განვიდეს ადგილსა მას კაცის სა
 კლავსა სასისხლესა, ილოცვიდეს და მადლობდეს ღ~ისა ნათლის-
 ღებისათვის, და იტყოდნენ: ჩვენ სიკვდილსა შ~ა უკვდავნი ვართ,
 რ~ ღირს გვეყვნა ღ~თნ ესე ვითარსა დიდებასა, მიღებად საგზალსა
 მას დაუღვენელსა ხორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღ~ისა უკუდავისასა
 რომელი უმაღლეს არს ყოველთა დაბადებულთა, რომელ იგი არს კურთხეულ
 უკუნისამდე: ხ~ ვ~ა მშობელთა ჩვენთა ნაყოფთა სიმწ
 არისათა, და მკვიდრთა ბნელისათა და ხმობდეს მოვედინ მეჭრმლე და ალა
 ხვენით თავნი ჩვენნი ჩვენგან, ამას რა იტყოდნენ იგინი ხედვიდა ზაბი
 ლონ აღიძრა გონებითა და ტიროდა მწარედ, რ~ ვ~ა ცხოვართა თავნი მათ
 ნი კვლად წარეპყრნეს, და ვ~ა კრავთა შვილთა მათთა სწავლობდ
 ეს მაშინ მოწყალე ქმნული ზაბილონ მათ ზედა შევიდა მეფისა; და

1-22 სტრ., 11v

გამოითხოვნა მეფისაგან სამკვდროდ შეკაზმულნი, და მიმადლნა მეფემან
 და რქვა მიმინიჭებია იგინი შენდა, რაცა გნებავს უყავ მათ,
 მაშინ ზაბილონ განუტევნა. ხ~ იგინი ევედრებოდეს ზაბილონს
 რათა წარყვეს ქვეყანასა, მათსა და მისცეს სჯული ქრისტესი
 ნათლის ღება წყლითა ყ~ლსა ერსა მათსა: ხ~ მან ისმინა
 ვედრება მათი და მოითხოვა მღდელი პატრიაქისაგან და ბრძან
 ება მოიღო სხვითა მიზეზითა რითმე მეფისაგან და წარვიდეს მათ
 თანა, და ვითარ მიეახლნეს დღისა ერთისა სავალსა, მივიდა წინა ამ
 ბავი ვითარმედ მეფე ცოცხალი მოვალს, და ყ~ლნი მთავარნი მის თა
 ნა, შეიძრნეს ათნი საერისთაონი: ხოზამად, ხოზად, გაახილაჯად,
 ხონებაგად, ხინგარაგი ზიჯად, [.....] ზაგად, ზადად, ზა
 მარდად, ზამართად, და თმონი და სამეფო: მიეგებვოდეს ესე ყ~ლნი
 მდინარესა დიდსა და ღრმასა დააყენე მეფემან ერი იგი წყალსა იმერ
 და ამერ, და აკურთხეს წყალი იგი და შთახდა ყ~ლი იგი ერი და განიბ

ანნეს და აღმოვიდეს აღმოსავალსა ერთსა და დასდებდა ყ~ლსა
მას ერსა კელსა; და იყო მუნ ათ დღე და აზიარნა საიდუმლოსა ქრისტესსა ერი ყ~ლი;
დაუტევნა მღდელნი და განუწყენა წეს
ი ყ~ლი. ამისა შ~დ მისცა მშვიდობა ყ~ლთა და წარვიდა ნიჭითა
დიდითა ჰრომედ, და განიდრახა გონებასა თვისსა, წარვიდე იერუსალე
მად და ვამსახურო ნიჭი ესე ჩემი ადგილთა ლ~ისათა; წარვიდა
ზაბულონ განუყო ყ~ლი იგი მონაგები გლახაკთა და პირველ
ხსენებული იგი დევტალარი, პატრიაქ ქმნილ იყო და ფ~დ დაიმ
ეგობრნეს ურთიერთას ზაბილონ და პატრიარხი, რქვა სარა ნი

1-23 სტრ., 12r

აფორმან პატრიარხსა: ესე ზაბილონ მამა და ემზაზი ბრანჯთაჲ კა
ცი სრული ლ~ის მოშიშობითა და სიბრძნითა, მიეც უკვე და შენი
სოსანა ცოლად მისსა, და სთნდა პატრიარხსა , და მის
ცა სოსანა ცოლად ზაბილონს და წარვიდა თვისად ქალაქად კოლასტრად;
ესე წ~ა ნინო მოძღვარი ქართლისა მათგან იშვა ოდენ მხოლოდ
თვინიერ სხვისა შვილისა, და აღზარდა დედამან თვისმან სოსანამ
მსახურებასა შ~ა გლახაკთასა, და ვითარ იქმნა ნინო ათორმეტისა
წლისად, მაშინ მშობელთა მისთა განყიდეს ყ~ლი მონაგები მა
თი და წარვიდეს იერუსალემად, მაშინ ზაბილონ დაიწერა
ჯვარი პატრიაქისაგან, და იჯმნა ცოლისაგან თვისისა, და შე
იტკბო მკერდსა თვისსა ასული თვისი წმინდა ნინა, და დაღვარნა ვითარცა წყ
არონი ცრემლნი თვალთაგან პირსა მისსა და თქვა შენ
მხოლოდ ასულო ჩემო ესერა დაგიტეოზ ობლად ჩემგან და მიგი
თვალავ შენ მამასა ზეცათასა და ყ~ლთა მზრდელსა ლ~თსა რ~ იგი
არს მამა ობოლთაჲ და მსაჯული ქვრივთა. ნუ გეშინინ შენ
შვილო ჩემო, შენ ხ~ მარიამ მაგდანელისა შური აღილე ქრისტეს სიყ
ვარულისათვის, და დათა მათ ლაზარესთა, და ეგრეთ შეიყვარო იგი
ვ~ა მათ მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყ~ივე რაცა სთხოვო, და დაუტე
ვა ამბორის ჰყოფა საუკუნო. და წარვიდა წიად იორდანესა კაცთა
მათ თანა ველურთა, სადა იგი ყოფა მისი უწყის დამზადებელმან
ლ~თნ: ხ~ დედა იგი წ~ისა ნინოსი მისცა პატრიაქმან მსახურად გლახაკთა დე
დათა და წ~ა ნინო მსახურებდა ნიაფორსა სომეხსა დვინელსა ორ წე
ლ, და კითხვიდა ყ~დვე ვნებათა მათთვის ქრისტესთა ჯვარცმისა დაფლ

1-23 სტრ., 12v

ვისა და აღდგომისა ძალსა, და სამოსლისა მის და ტილოთა და სუ
დარისა და ჯვარისასა მიწყებითა ყ~ლსა; რ~ არავინ ყოფილიყო და არცა იყო
შ~ს იერუსალემისა სწორ მისსა მეცნიერებითა. სჯულისა ძვე
ლისა და ახლისათა ყ~ლსავე ზ~ა მიწევნით; ხ~ იწყო უწყებად მი
სა და რქვა ვხედავ შვილო ჩემო ძალსა შენსა ვ~ა ძალსა ლომისა ძუ

ისასა, რომელი იზახებნ ყ~ლთა ზ~ა ოთხფერჯთა, გინა ვ~ა არწივი დედალი რ~ლი აღვიდის სიმალლესა ჰაერთასა უფროს მამლისა, და ყ~ლი ხმელი გუგასა თვალისა მისისასა მცირისა მარგალი ტისა სწორად შეიყვანის, განიხილის და განიცადის საჭმელი მისი ცეცხლებრ, და რა ინახნის მიუტევენის ფრთენი და მიეტევ ის მას ზ~ა ეგრეთვე იყოს ცხოვრება შენი; აწ ვიწყო და მიგიტხრა ყო ველივე ოდეს იხილეს ღ~თი იგი უკუდავი კაცთა მოკვდავთა ქვეყანასა ზ~ა რ~ლი მოსრულ იყო მოწოდებად წარმართთა ვ~ა თვით ინება ხსნა სოფლისა. იწყო კეთილის ყოფად ურიათა, მკვდ ართა აღდგინებად, ბრმათა ახილვად, სნეულთა განკურნებად; ესე შეიშურვეს და შეიზრახნეს, და წარავლინეს სტრატიოტნი ყ~ლსა ქვეყანასა სწრაფით მოსლვად ურიათა, და თქვეს რ~ ესერა წარვწყმდებით მოვედით და შემოკრბით ყ~ლნი: მაშინ მოიწივნეს ყ~ით ქვე ყანით კაცნი რიცხვნი, სწავლულნი სჯულსა მოსესა, რ~ლნი იგი ანტაკრად წინა აღუდგეს სულსა წ~სა ანტაკრად, რა იგი ჯერ იყო ყოფად ქვეყანასა, მათ აღასრულეს ჯვარს აცვეს და სამოსელსა მისსა ზ~ა წილ იგდეს და ხვდა წილითა ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა, კვართი იგი უკერავი; ხ~ დაფლეს იესო დაკრძალ

1-21 სტრ., 13r

ეს საფლავი მისი, არამედ იგი აღდგა ვ~ა თქვა პ~ლდ და ტილონი იგი პოვნეს საფლავსა მას შ~ა; და შ~დ რაოდენთამე ჟამთა მივიდეს ჯელთა ლუკა მახარებლისათა; და დასხნა იგინი სადაცა თვით იცის, ხ~ სუდარი არა იპოვა, არამედ თქვეს ვიეთმე პეტრესთვის, ვითარმედ ჯელეწ იფა აჯუმალო და აქვს მასო; არამედ განცხადებულად არა გვითხრეს; ხ~ ჯვარნი იგი ამასვე ქალაქსა შ~ა დამარხულ არიან; ა~დ აღგილი მათი არავინ იცის, ოდეს ინებოს ღ~თნ გამოჩნდეს იგინიცა; ვ~ა ესმა ესე ყ~ლი წ~სა ნინოს სარა ნიაფორისაგან, მისცა კურთხევა და მადლო ბა ღ~თსა. და კ~ლდ კითხა სადა არს ჩრდილოდსა იგი ქვეყანა, სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩვენისა, რქვა ნიაფორმან ქალაქი მცხეთა ქვეყანა ქართლისა, სომხითისა მთიულეთი არს საწარმართო. რ~ ჟამსა ამას უჟიკთა საჯელმწიფოთა შექმნილ არს იგი ხ~ მათ დღეთა შ~ნა მოვიდა დედაკაცი ვინმე ეფესოდ, თაყ ვანისცემად წ~ისა აღდგომისა, და კითხვიდა დედაკაცსა მას ნიაფორი ვით არმედ ელენე დედოფალი ეგრეთსა ცთომასა და ბნელსა შინა არს, ხ~ მან რქვა ესრეთ ვითარმედ მე ვარ მხევალი მათი, და მახლო ბელი განძრახვისა მათისა ყველასა ცხადსა და დაფარულსა, და უწყი მე მისი რამეთუ აქვს მას დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა, და ნათლის ღებისათვის. ხ~ ესმა რა ესე დედაკაცისა მისგან წ~სა ნინოს, რქვა ნიაფორსა ესრეთ ვ~დ წარმგზავნე მე და მივიდე წინაშე დედოფლისა ელენესასა, ნუ უკვე მივიახლო სიტყვის გებად ქრისტესთვის წინაშე

1-22 სტრ., 13v

მისსა, ხ~ ნიაფორმან აუწყა პატრიარხსა წადიერება ესე და საქმე ნინასი
ხ~ დედის ძმამან მოუწოდა წ~სა ამას ნინას დისწულსა თვისსა, და დაად
გინა იგი აღსავალსა წ~ისა საკურთხევლისასა, და დასხნა ჳელნი
მისნი წმინდანი მხართა მისთა, სულთ ითქვნა ცად მიმართ სიღ
რმითა გულისა მისისათა, და თქვა უფალო ლ~თო საუკუნეთაო ჳელთა
შენთა შევედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩემისასა, და წარვა
ვლინებ ქადაგებად ლ~თაებისა შენისასა, რათა ახაროს აღდგო
მა შენი, სადაცა სათნო იყო სრბა ამისი, ექმენ ქრისტე ლ~თო
ამას მოგზაურ: ნავთსადგურ მოძღვარ და ენამეცნიერ. ვ~ა უწინარეს
მისსა მოშიშთა სახელისა შენისათა; და უჯმნა დედისაგან თვისისა ამბ
ორის ყოფითა განშორებისათა, და გამოსახა მას ზ~ა სასწაული ჳვარისა
და ესრეთ ლოცვითა ლ~თისა მიმართ და კურთხევითა განუტევა იგი. და წარ
ემართა წ~ა ნინა დედაკაცისა მის თანა ეფესოთ მოსრულისა, და ვითარ მი
იწივნეს სამეფოსა ჰრომს, სახიდ დედაკაცისა რომელსა იგი თანა
მოგზაურ იქმნა. იხილეს მუნ დედოფალი და ტომი მეფეთა სახელით
რიფსიმე, და დედა მძუძე მისი გაიანე, რ~ლნი ესე იყოფებოდეს მო
ნასტერსა შინა ქალწულთასა, და სუროდა ქრისტესათვის და მომლო
დინე იყვნეს იერუსალემით ნათლის ღებასა, მაშინ დედ
აკაცმან მან მოიყვანა წ~ა ნინა დედოფალსა მას რიფსიმეს
და აუწყა საქმე მისი, რომელი იგი იხილა რა ქრისტეს მოყვა
რემან რიფსიმე სიხარულით შეიტკბო და შეიწყნარა სახიდ
თვისად, წინაშე მისსა წ~ა ნინა ჳელითგან მის დედაკაცისა თანა მოგზაურისა

1-21 სტრ., 14r

და ესრეთ იყოფებოდა რა მის თანა წ~ა ნინო, მასვე შ~ა წელიწადსა შ~ნა ნათელ
ილო რიფსიმემ, რ~ისათვის იგი სურვიელ იყო მის თანა გაიანეცა
დედამძუძემან მისმან, და სხვათა მათ სახლეულთა მისთა რიცხვით
ორმოცდაათმან სულთა, ჳელსა შინა წ~ისა ნინასსა, და იყოფებოდეს
მონასტერსა შინა თვისსა და მათ თანა წ~ა ნინა ორ წელ; მათ დღე
თა შინა წარავლინა კეისარმან, მიებად ქალისა ქმნულ კეთილისა
და შვენირისა, რათამცა უპოვეს ღირსი ცოლად მისსა, და ვითარ
მოიწივნეს მეძიებელნი იგი მონასტერსა ქალწულთასა, და იხილეს და გა
ნიცადეს რიფსიმე, და გამოიკითხეს გვარი მისი, და ცნეს მეფეთა
ნათესაობა მისი, რომელსა სახე ფრიად სთნდა შვენირება მისი, რ~ლისა
ვერა სადა ეხილვა მსგავსი ხილვითა შვენირებითა, და გამოსახეს
სახე შვენირებისა ხატსა მისისა, ფიცარსა ზ~ა, და წარგზავნეს
წინაშე კეისრისა, რომელი იხილა კეისარმან ფ~დ სთნდა და სიხარულითა აღივსო, და
განაწესა აღსრულება ქორწილისა მრავლი
თა სიხარულითა. რომლისთვისცა მსწრაფლ წარავლინნა მო

ციქულნი და განმგებელნი ყოველთა შინა საბრძანებელთა მისთა რათა ყოველნი დიდითა სიხარულითა მოვიდნენ ბრძანებითა ამის და ქორწილსა სამეუფოსა; ხ[~] იხილეს რა ყოვლად წმინდათა მათ დაფარული იგი მანქანება მტრისა, და ისარნი მისნი განხურვებულნი რომლითა იგი ისწრაფდა სისრად წმინდათა, ქრისტესთა, იურვოდეს, რამეთუ ჭური რისხვისა იპოვა მეფე ვ[~]ა გველი სამოთხესა შინა მზრახველ ექმნა, ეგრეთვე აქა მზგავსად მისსა

1-22 სტრ., 14v

უსჯულო ესე რომელსა აქვნდა შეგინებული თაყვანისცემა ბილწთა და შეგინებულთა კერპთა; ხ[~] იხილეს რა ნეტარმან რიფსიმე გაიანე, და სხვათა მათ წმინდათა დედათა განსაცდელი ესე მათ ზ[~]ა მოწევნულად მაშინ მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა, და ღირსი ქებისა მართობით ცხოვრებად; რომელსა იგი იყვნეს განსწავლულ და გოდებით ტიროდეს გამოზახვით შესწავებისა მისთვის, წინაშე მეფისა უსჯულოსა შვენიერებისა წმინდისა რიფსიმესა. რომელი იგი გამოეხატათ წარგზავნეს და მისცნეს თავნი თვისნი ფიცხელსა მოღვაწებასა კანონსა. ლოცვითა და ვედრებითა ლ[~]თისათა დაუცადებელითა, და მხურვალითა და ერთობით განძრახვითა ურთიერთარს ყოველთავე დაუტევეს ქვეყანა იგი ფარულად. ორმოცდაცამეტმან სულმან და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა მას რომელსა ქვიან ახალ ქალაქი, უადრეს შენებულისა რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა, და შევიდეს მუნ ტალავართა მათ შინა საწნებელთასა, რომელი იგი იყვნეს შენებულ ჩრდილოთ კერძ, და აღმოსავალით და იზარდებოდეს მუნ შინა ჯელთ საქმრისა თვისისასა განვაჭრობითა; ხ[~] იხილა რა კეისარმან, რამეთუ განერეს ჯელთაგან მისთა, და ტრფიალებისაგან მისსა ბოროტსა წმინდა რიფსიმე, და სხვანი იგი მისთანანი აღივსნეს უნუგეშინის ცემითა მწუხარებითა. და წარავლინა კაცნი ყ[~]ლთა ადგილთა მოძიებად მათდა, მაშინ მოიწივნეს მოციქულნი კეისრისანი, წინაშე თრდატ სომეხთა მეფისა, და მოართვეს წიგნი კეისრისა

1-22 სტრ., 15r

რ[~]ლსა წერილ იყო ესრეთ; თვითმპყრობელი კეისარი საყვარელსა ძმასა, მეგობარსა და თანა მოსაყდრესა ჩემსა, თრდატს გიკითხავ უწყებულ იყავნ ძმობა შენი, და თანა შემწეობა რომლისათვის იგი პ[~]დვე გვენების შეცთომილისა მისგან ქრისტიანეთა ნათესავისა რ[~]ლი ყ[~]დვე შეურაცხ იქმნების ჩვენი უფლება მათისაგან კრებულისა და საწუნელ არს ჩვენი ჯელმწიფება მათგან, რ[~] იგინი ჯვარცმულსა ვისმე მომკვდარსა მსახურებენ, და ძელსა თაყვანის სცემენ, და თავისა მათისა სიკვდილი უფლისა მათისათვის

დიდებად შეურაცხიენ, და არა ეშინისთ, და შეცდომილ არიან მეფეთა აგინებენ ლთთა შეურაცხ ჰყოფენ, და ძალსაცა მზისა და მთოვარისასა და ვარსკვლავთასა ნათლისასა არად შერაცხიან არამედ შექმნილად იტყვიან მათ ჯვარცმულისა მის მიერ, და ესრეთ მიაქციეს ქვეყანა ვიდრემდის მამანი დედათაგან და დედანი მამათაგან ცოცხალვე განეშორნეს დაღაცათუ დიდითა ქადებითა და ფდითა სატანჯველითა მოვსწყვიდენით, ად კვალადცა უფროსად განმრავლდეს, ხაწ შემემთხვია მე ხილვად ნათესავისა მათისაგან ქალისა ერთისა ყმაწვილისა, და განვიზრახე მოყვანება მისი ცოლად ჩემ და, ხა მას არა თუ ვა მეფისა მეფისა უთქმიდა გულმან მისმან სურვილად ჩემდა, არამედ საძულველად არა წმინდად შემრაცხეს მე, რომელნი ცა მეოტ იქმნეს ფარულად, ჩემგან და კერძო ქვეყანისა შენისათა წარმო სრულ არიან, უწყებულ იყავნ შენდა ძმაო ჩემო. მოიძიენ იგინი, და პოვენ რა მისთანანი იგი სიკვდილით მოაკვდინენ ხა

1-21 სტრ., 15v

რლი იგი შეაცთუნნეს შვენიერი ხატითა და სახელით რიფსიმე ჩემდა წარმოავლინე, და უკეთუ შენ გინდეს იგი თავისა შენი სათვის იგულე რა არავინ იპოვა სხვა მზგავსი მისი იონთა სო ფელსა შინა. და ცოცხლებითამცა იყოფები შენ მსახურებასა შინა ლთთასა; ხა ვა აღმოიკითხა თრდატ, ბრძანება ესე კეისრისა მყის იწყო მოსწრაფებით ძებნა მათი, და პოვნა რა საწნეხელთა მათ შა კლ ვსენებულთა, და იხილა რა რიფსიმე აღივსო ტრფიალებითა გულისთქმისათა, და სიხარულითა დიდითა. და დაამტკიცა მოყვანება მისი ცოლად მისად, ხა ურჩ ექმნა რა თრდატის საქმისა ამისთვის წა რიფსიმე. მაშინ იწამა იგი მის მიერ წამებისა ღვაწლითა, მისთანა გაიანეცა დედა მძუძე იგი მისი, და სხვანი მრავალნი მათ თანანი, ვა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მათისასა: და გვეუწყებინა სასწაულნი იგი რომელნი იქმნეს ჟამსა წამებისა მათისასა მოქცევათა შინა სომეხთასა, რამეთუ თრდატ მეფე განგებითა ლისათა, ეშვად შეიცვალა. ხა რომელნი მე მათგანნი წმინდანი დაიძალნეს და ივლტოდეს. რომელთა თანავე. მაშინ ესე წა ნინა დამალულ იქმნა ეკალთა შორის ვარდისათა რომელ იგი ჯერეთ არღარა გამოღებულ იქმნა ყო ყვავილისა ჟამსა და ესრეთ რა დამალულ იქმნა წა ნინა, და იხილა მუნით გამო სახითა მთავარ დიაკონისათა, შთამომავალი ნათლითა ზეცით ნათლისა ოღარითა მოსილი, და მპყრობელი სასაკმევლისა ჯელთა მისთა რომელისა კვამლისა სახე სუნელეზა დაფარვიდა ცათა და კდ იყო მასთანა, ერთა ერთა მრავალი, ზეცისათა, რა მას ჟამსა განეყოდეს ხორცთაგან სულ

1-22 სტრ., 16r

ნი წმინდათა მათ მოწამეთანი. რომელნი იგი შეერთნეს ბრწყინვ
ალეთა მათ ზეცისა ძალთა, და ესრეთ ცად მიმართ აღიწეოდა რომ
ელნი ესე იხილა რა ესრეთ წმინდამან ნინა ღაღადყო ესრეთ უფ
ალო უფალო რად დამიტეობ მე შორის ასპიტთა იქედნეთა, მაშ
ინ ხმა ესმა ზეგარდამო: რომელი ეტყოდა ვითარმედ ესრეთვე იყოს
შენიცა წარყვანება სასუფევლად წინაშე ღისა, ჟამსა ეგე ეკალი
რომელ არს გარემოს შენსა, ყლივე იქმნას ვარდის ფურცელი სუ
რნელი. ად აღდგა და ვიდოდა და ჩრდილოთ კერძო, სადა იგი ფდ
არს სამკალი ხ მუშაკი ყდ არა; ამის შდ წარმოვიდა მუნით წა
ნინა, დ მოიწია ორბანთად საზღვართა სომხითისათა, და მუნ
დაიზამთრა, ჭირთა შინა მრავალთა. და თვესა მეოთხესა მარტითაგან
რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მათათა ჯავახეთის
ათა სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა გარდამდინარესა რომელ
სა ეწოდების ფარავანი, ხ მიხედნა რად მუნით და იხილა
მთანი ჩრდილოსანი დღეთა მათ ზაფხულისათა იყვნეს სავსენი თო
ვლითა და ჰაერიოთა სასტიკითა, და შეძრწუნდა წა ნინა, და თქვა
უფალო უფალო მიიღე სული ჩემი ჩემგან, და დაყო მუნ ორი
დღე, და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა მას შინა
მონადირეთაგან, და რამეთუ მწყემსნიცა იყვნეს ადგილსა
მასვე, და ხმილვიდეს რად სახმილავსა ღამისასა სამწყსოსა
ზა მათსა, ხადოდეს იგინი შემწედ და მფარველად მათდა
ღთთა მათთა, არმაზს და ზადენს, და აღუთქმიდეს შესაწირა

1-19 სტრ., 16v

ვთა ოდეს მოვიდეთ წინაშე თქვენსა მშვიდობითო და ამას იტყო
დენ იგინი ენითა სომხურითა, რომელი ესე ესწავლა მცირედ რაიმე
ნინასაცა, პირველივე ნიაფორისაგან. და პოვა მწყემსთა მათ შო
რის მზრახველი სომხურისა ენითა, და კითხა და რქვა ვითარმედ ვართ ჩვენ დაბით
ელარბინით, და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელ
ნი და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი სადა ღნი ღთობენ და მეფენი მეფო
ბენ, კითხა სადეთ არს მცხეთა, ხ მან მიუგო ვითარმედ გარდამდინ
არე ესე ტბისა თანა წარვლისა ქალაქსა მას მცხეთას; ხ წასა ნინ
ას შეუძიმდა სიგრძე გზისა მის, და სიბრტყე მათათა რლი იხილა
და ამისთვის შეძრწუნებულმან, სულთითქვნა და დაიდვა
ლოდი ერთი სასთუმალად, და ესრეთ მიიძინა გარდასადინელსა
მას ტბისასა, და ვითარ ეძინა. მოვიდა კაცი ერთი ჩვენებით
ჰასაკითა ზომიერი ხ თმითა ნახევართმოსანი, და მისცა
მან წიგნი დაბეჭდული წასა ნინას და რქვა მიაართვი
ესე ქალაქსა შინა მცხეთას მეფესა მას წარმართათასა
ხ წნ ნინამ იწყო ტირილად, და რქვა მას ვედ
რებით, ვითარმედ მე უფალო დედაკაცი ვარ უცხო და

უმეცარი და არღა მრავლის მეტყველ მეცნიერ, ვითარ მე
ვიდე უცხოთა ქვეყანასა, და კაცთა მათ უცხო თესლ
თა. მაშინ კაცმან განუხსნა წიგნი იგი და იყო წე

1-23 სტრ., 17r

წერილი რომაელებრ, რომელ ზედა იყო ბეჭედი იესო ქრისტესი
დაწერილ იყვნეს წიგნსა მას შინა ათნი სიტყვანი, მგზავსადვე ფიცარ
თა მას ქვისათა მოსეზე, მისცა კითხვად წა ნინას, და იყო
დასაბამი სიტყვათა მათ ესე სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუ
ნცა ითქმოდეს დედაკაცი ესე, არცა მამაკაცება არს არცა დედაკა
ცება არამედ თქვენ ყლნი ერთ ხართ, წარვედით და მოიმოწაფენით
ყლნი წარმართნი, და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისა
თა და სულისა წმიდისათა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზა
დიდებად ერისა შენისა ისრაელისა. სადაცა იქადაგოს სახარება ესე სას
უფეველისა მუნცა ითქმოდის ყლსა სოფელსა, რომელმან თქვენი შეგი
წყნარეს მე შემოწყნარა, და რომელმან მე შემოწყნაროს შეიწყნაროს
მომავლინებელი ჩემი, რ ფდ უყვარდა მარიამ უფალსა რ მარად
ის ისმენდა მისსა სიტყვასა ჭტსა, ნუ გეშინინ მათგან რომელთა მო
გწყვედად რქვა მარიამ მაგდა[...]ნელსა, იესო წარვედ დედაკაცო და
ახარე მამათა ჩემთა სადაცა ქადაგებდეთ სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა; ვითარცა წარიკითხა სიტყვანი ესე წმიდამ
ან ნინამ იწყო ვედრებად ღთისა მიმართ, და გულისხმა ჰყო ვით
არმედ ზეცით იყო ჩვენება ესე, და აღიხილნა თვალნი ზეცად
და ითხოვა მაღალთა შინა დამკვიდრებულისა და ყლისა გარე შემცვე
ლისა ღთისაგან შეწევნა მისი, წარემართა და მიყვა მდინარესა მას ტბისა
გან გარდმოდინარესა, რომელი იგი წარმდინარეობს დასავლით, მერმე
კვალად იწყებს აღმოსავლით დინებასა, მიუდგა გზათა ძნელთა და ფიც
ხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან, და შიში დიდი მხეცთაგან

1-24 სტრ., 17v

ვიდრე მიწევნამდე ადგილსა მას, რომელსა იწყებს წყალი იგი აღმო
სავლით დინებასა, და მიერთგან იქმნა ლხინება მისი რ პოვნა მუნ
მოგზაურნი რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა
მას რომელსა ეწოდების ურბნისი; სადა იგი იხილა ერი უცხო და
უცხოთა ღთთა მსახური, რამეთუ თავყანის სცემდნენ იგინი
ღთად მათდა ცეცხლსა, ქვასა, ძელთა რომლისათვისცა შეეურვა
სულსა ამის წმინდანისასა, და შევიდა ბაგინსა ურიათასა, რომელთაცა
ზრახვიდა მათ თანა ენისათვის ებრაულისა რომლისა იგიცა მეცნიერ
იყო, და დაყვნა მუნ თვისა ერთი დღენი, და განიცდიდა საქმესა,
და ძალსა მას ქვეყანისასა, ხ აღიმრნეს დღესა შინა ერთსა ერნი დიდ
ნი სიმრავლითა მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუ

ფოდ მცხეთად მოვაჭრებად სახმართა რათამე, და ზორვად წინაშე არმ
აზ კერპთა მათისა. წარყვა მათ თანა წა ნინა, ხ ვითარ იგი მიიწივნეს
ქალაქად მცხეთად, და დაისადგურეს მათ წიად მოგვთასა ხიდსა მას ზა
იხილა მუნ მოგვობა ცეცხლის მსახურთა მათ ერთა და საცთური, და ტიროდა
წა ნინა წარწყმედასა მას ზა მათსა, და იგლოვდა უცხოებასა თვისსა
და აჰა ხვალისა დღე იყო ჳმა ოხვრისა და საყვირისა და ზარი საშინელი გამოსვ
ლა ერისა ურიცხვისა ვა ყვავილნი ველისათა, და ზარი საშინელი
გამოვიდოდა ვიდრე გამოსვლამდე მეფისა და ვითარ იგი მოიწია ჟამი
იყო სივლტოლა და მიმოდაბნევა ყ ისა კაცისა, შიშისაგან შეივ
ლტოდეს და დაიმალიდეს საფარველსა შინა თვისსა, და აჰა მყის
გამოვიდა დედოფალი ნანა, და შდ მისსა გამოვიდა სიმრავლე ერისა
ნელიად და შეამკვვნეს ყლნი გზანი იგი და ფოლორცნი და სამოსლითა
მიერ თვით ფერთა, და ფურცელთაგან ხეთასა, მერმელა გამოვიდა

1-24 სტრ., 18r

მეფე მირიან საზარელითა და თვალ შეუდგამითა ხილვითა, და იწყო
ყლმან ერმან ქებად მეფისა. და კითხა წმიდამან ნინამ დედაკა
ცსა ვისმე ურიასა, ვითარმედ რა არს ესე, ხ მან რქვა ლ ი ლთთა
მამათა არმაზ უწყეს მათ წინაშე მისსა, აღსვლად რომელისა
მსგავს არ არს სხვა კერპი, ეუწყა რა წასა ნინას, აღვიდა ხი
ლვად კერპისა მის არმაზისასა ერისა მისთანა, რომლითა ალივ
სნეს მთანი იგი. და განაშვენებდეს დროშათა მიერ და სამკაუ
ლითა. ვა ყვავილი ველისანი, და შეუსწრა წამან ნინამ
ციხედ არმაზად, და დადგა იგი მახლობელად კერპისა მის ნაპრალ
სა ზღუდისასა, და ხედვიდა საკვირველებასა მიუწოდომელსა, და ენი
თა გამოუთქმელსა, ვითარ იყო შიში და ძრწოლა ზარის აღსა
ხდელი, მეფეთა მათ და და ყილსა ერისა წინაშე კერპთა მათ წარმოდგო
მილთა, რამეთუ იხილა მუნ წამან ნინამ, მდგომარე კაცი
ერთი სპილენძისა, რომელსა ეცვა ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვი ოქროსა და
თავსა მისსა ჩაფხუტ ოქროსა, სამხრენი და თვალნი მისნი იყ
ვნეს ზურმუხტისა, და ბივრიტისანი, და ეპყრა ჳელსა მისსა
ელვარე და ბრწყინვალე, რომელი იგი იქცეოდა ჳელსა შინა მისსა,
და შიშითა მისისა მიმთხვევისა, და სიკვდილისა მის მიერთა არავინ
განუკრძალველად შეემთხეოდეს კერპსა მას, არამედ ესრეთ განი
კითხის თავი თვისი და თქვის, ჰი ჩემდა ნუ უკეთუ დასამე ვაკლდი
დიდებასა დიდისა ამის ლ ისა არმაზისასა, ანუ შესამევსცეთ სიტყ
ვად ებრაელთა თანა, გინა მოგჳთა თანა სმენასა ოდენ და დამთხვეულ
იყო მზის მსახურთასა, და მათსა რომელნი იგი იტყვიან უმეცრებ-
ით, დიდსა ვისმე ლთისა. და ძესა ლთისასა ზეცათასა, და იპოოს რაიმე

1-23 სტრ., 18v

ესე ვითარი ბიწი და მცეს მე მახვილი მისი რომლისა ეშინის
ყლსა ქუეყანასა, ესრეთ წინასწარვე განკითხვითა თავთა თვისითათა
შიშითა და ძრწოლითა თაყვანის სციან მას, და კდ იყო მარჯვე
ნით მისსა სხვაჲ კერპი ოქროისა სახითა კაცისათა მდგომარე, და სახელი მისი გაცი,
და მარცხენით მისსა უდგა კაცი
ვეცხლისა, და სახელი მისი გაიმ. რომელნი იგი ლთად უჩნდ
ენ ერსა მას ქართლისათა.

მაშინ ვითარ იხილა ნეტარმან ნინამ იწყო სულთქმით და
ცრემლით ტირილად ლთისა მიმართ, ცთომათა მათთვის ქვეყანისა
ჩრდილოსათა, მიფარვისა მისთვის მათგან ნათლისა და უფლ
ებისა მათ ზა ბნელისათვის, რ მიხედნა მეფეთა მათ და დიდ ძა
ლთა, და ყლთა მთავართა რომელნი იგი ცოცხლივ შთაენ
თქნეს ჯოჯოხეთსა, და დაეტევა დამზადებელი თვისი, ქვათა. ძე-
ლთა, სპილენძსა, და რვალსა გაჭედილსა ლთდ თაყვანისცემდ
ნენ და ესენი იცნობებოდეს ყოვლისა შემოქმედად. და მოეხსენა წასა
ნინას, მაშინ სიტყვა იგი რომელ ამცნო, დედის ძმამან მისმან იობელან პატრიარხმან
ლთსამან წმიდამან ესრეთ, ვითარმედ
მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ, და მიწევნად ხარ ქვეყანასა
უცხოსა ნათესავთა და რაგველ ზეფელ ბარკადულ რომელ არს
ბრანჯულად კაცთა ლთს მზრძოლთა და მხდომელთაო. მაშინ აღიხ
ილნა ზეცად მიმართ და თქვა, უფალო მრავლითა ძალითა შენითა
გეცრუვნეს მტერნი შენნი, და მრავლითა სულგრძელებითა შე
ნითა იქმენ, რასაცა იქმან, და მოიგონებენ. ყლსა მტუერებრ და ნა
ცრებრ განქარვებადნი ესე ქვეყანასა ზა არამედ ნუ უგულუბელს
ჰყოფ რლი შექმნეს კელთა შენთა კაცი ხატად შენდა; და

1-24 სტრ., 19r

რომლისათვის ერთი სამებისაგანი განკაცნეს, და აცხოვნე ყლი სო
ფელი და მოხედენ წყალობით ამათცა ზა ნათესავთა და შერის-
ხენ სულთა ამათ ბოროტთა, და უჩინოთა სოფლის მპყრობე
ლთა და მთავართა ბნელისათა და შთახადენ ადგილთა ძნელთა, და მი-
ჩვენე მე უფალო, ლთო მამისა და დედისა ჩემისაო მხევალსა ამას შენ-
სა და ნაშობსა მონათა შენთსა, რლი იხილონ ყლთა კიდეთა ქვეყ
ანისათა მაცხოვარება შენი, და რათა ჩრდილო ბლუარსა
თანა იხარებდეს, და ყლმან ენამან მხოლოსა ლთსა თაყვან-
ის გცეს ქრისტეს იესოს მიერ მისა შენისა, რომელსა შვენის
მადლობა დიდების მოცემა უკუნისამდე, და ვითარცა დაასრუ
ლა ლოცვა ესე წამან ნინამ, მყის წამის ყოფითა საღმთოთა
აღდგეს დასავლით ქარნი, და ჰაერნი ღრუბელთა თანა ხილვითა

საშინელითა, და ჳმითა ზარის აღსახდელისა ქუხილისათა, და მობერნა ნიავემან მზისა დასავლეთისამან: სული ჯერკვალი სიმწარისა სიმყრალისა, რომელი ესე იხილა სიმრავლემან, მათ ზა მომავალად, მაშინ სირბილად შევლტოლვად და ქალაქად სოფლად თვისთა. და რამეთუ მცირედ დრო სცა ლთნ ვიდრე განრინებამდე თავთა მათთა. და ყოფად ამისსა რათამცა შეესწრნეს იგინი, მომსვრელსა მას საყოფელთა შინა თვისთა: და ვითარ განიბნივნეს იგი ყოველნი მეყვსე ულად მოიწია, რისხვა იგი ღრუბელი მწარედ სასტიკი, და მოილო სეტყვა სწორი ქვისა ორთა მიერ ჳელთა მძლედ ძლით სატყორცებელი, ადგილსა მას რლსა ოდენ ზა საყოფელთა კერპთასა, და შემუსვრითა დაწვლილნა იგინი: და დაარღვივნა ზღუდ

1-21 სტრ., 19v

ენი ქარმან მიერ სასტიკმან, და შთააბნივნეს იგინი კლდეთა ნაპრალსა მათ შინა. ხ წა ნინა დარჩა ეგი უვნებლად დაცული ადგილსა მასვე, სადა იგი პირველ შესრულ და მდგმარე იყო.

ხ დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე, და ყლი იგი ერი ძიებად ლთთა მათთა, და არა პოვებდეს რომლისათვის იგი დაეცა, ხ იგინი შიშმან ძრწოლამან და განკვირვებამან შეიპყრნა, და უმრავლესნი იგინი ერნი იტყოდნენ გულფიცხელნი და მიუდრეკელნი ესრეთ ვითარმედ ქალდაველთა ლთი ითრუჯან, და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ, ყდვე მტერ არიან, აწ მან შური იძია და მოაწია ამას ზა. ხ რომელნიმე ესრეთ იტყოდნენ ვითარმედ რომლისა ლისა ძალითა თარდატ მეფე ეშვად შეიცვალა, და კდ ეშუსაგან კაცადვე მოაქცივნა, მან უკვე ლთნ ჳყო და მოაწია რისხვა ლისა მათ ზა, და ამას ესე ვითარსა იტყოდეს, ამისთვის მაშინ რამეთუ ვინათგან მეფე თრდატ ქრისტეს ძალითა ეშვად გარდაქცეულ იყო, და ძალითვე ქრისტეს კდ კაცად შეცვალეზულ იყო, მიერითგან ქება დიდება ქრისტესი არლად ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა რ მადლსა ლისასა ეწყო მიფენა აღმოსავლეთს: ხ მასვე ედღესა რისხვისა და კერპთა დასცხრა სეტყვა იგი, და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა წა ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა, და პოვა თვალი იგი ბივრიტი, აღილო და წარმოვიდა წინა კერძო დასასრულსა მის კლდისა ცხვირისასა, სადა ყოფილ იყო

1-23 სტრ., 20r

ძველადვე ციხე, და ქალაქი და იხილა მუნ მდგომარედ ხენი ერთნი რომელთა ბრინჯ უწოდიან, მაღალნი მშვენიერნი და რტო მრან

ვალნი, სადა იგი ყოფილიყო ბარტომ მეფისა საგრილი და განსასვენებელი და მოვიდა ხესა მას ქვეშე, გამოსახა სასწაული ქრისტეს ჯვარისა, და აღასრულნა მუნ დღენი ექვსნი, მადლობითა და ვედრებით ღმრისა მიმართ. წყალობით მოხედვისა, დახსნისა-ერისა მის ეშმაკთა შეცთომილისა; ხოლოდეს იქმნა კერპთა შემუსრვა იყო თვე მარტივან მეექვსე აგვისტოსი, დღე მეექვსე რწლსა შინა ფერი იცვალა ქრისტემან წინაშე თავთა მათ წინასწარმეტყველთა და მოწაფეთა თვისთა. და ვითარ იგი ვთქუ იყოფებოდა რწა ნინა საფარველსა რა ქვეშე ხეთასა, მაშინ მოვიდა მისდა, სეფე ქალი ერთი სახელით შროშანა, და იხილა მუნ რწა ნინა მუნ ესრეთ მყოფი. განკვირდა და ჰკითხა მას სხვისა მიერ ბერძნულ მეტყველისა დედაკაცისა, ვინაობა მისი სხვისა ყლისავე თანა საქმისა მისისა, რომელი იგი აუწყა რა ყლივე ნინამ, თვინიერ უწყებისა მშობელთა თვისისათა, დაიჩემა ტყვეობა თავისა თვისისა, მაშინ შროშანა თანა ღმობილ მოწყალე ქმნილი უცხოებისათვის მისისა, ცრემლით აიძულებდა რწასა ნინას წარსვლად მისთანა, სახიდ სამეუფოდ, რომელი ესე არა ინება წმიდამან ნინამ, არამედ განემორა და წარვიდა მისგან შროშანა.

შემდგომად სამთა დღეთასა აღდგა მუნით განვლო მტკვარი და მიიწია სამოთხესა მას მეფისასა, სად იგი აწ არს სვეტი ღმრთივ აღმართებული, და ეკლესია საკათალიკოზო, და იხილა მუნ სახლი მცირე სამოთხისა მცველისა და შერავიდა მას შინა და მოეგება დედაკაცი

1-25 სტრ., 20v

ცოლი, სამოთხის მცველისა მის სახელით ანასტოს, და მოწლედ ამბორის ჰყოფით შეიტკბო, ვწამრავლით ჟამითვან მეცნიერმან და მეგობარმან, და დაბანა ფერხნი და განუსვენა ცხებითა ზეთისათა, და დაუგო პური და ღვინო და დაყო მისთანა რწამნ ნინამ, დღენი და ჟამნი ცხრათა თვენი ხო იყვნეს ესე ანასტოს და ქმარი მისი უშვილონი, რომლისათვის ფ დ მწუხარე იყვნეს იგინი, მაშინ იხილა რწამნ ნინა ჩვენებასა შინა ძილისასა, კაცი ნათლითა შემოსილი რომელი ეტყოდა ვითარმედ შევედ სამოთხესა მაგას, და პოო ქვეშე კერძო ნაძვთასა, მცირე ბაბილო შემზადებული გამომღებელად ყვავილთა სულნნელთა, და აღიღე მიწა ადგილისა მისგან, დაეც ჭამად მეუღლეთა მაგათ დაესვას შვილი. ხო რწამნ ნინა ულოცა, და სცა ჭამად, ცოლ ქმართა მათ ჩვენებით უწყებისა მისებრ. დაშუნეს მათ მე და ასულები მრავალ, რომლისა თვისცა რწმენა მათ ქრისტე ნინას მიერ, და დაემოწაფნეს მას ფარულად. ხო რწამნ ნინა შემდგომად ცხრათა მათ თვესა, რომელნი დაეყვნეს სამოთხის მცველთა მათ თანა, პოვა გარეგნით ზღუდეთა მათ ქალაქისათა ქოჩი ერთი ბრწამლი სახედ ტა

ღვარისა მცირისა, მაყვალთა მიერ შემზადებული, განგებითა ღთისათა, ადგილსა მას სადა იგი აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიასა სამთავარ ეპისკოპოზოსა, დაჰყო იგი საყოფელ და განსასვენებელ თვისად, და აღმართა მუნ შინა ჯვარი თვით მის მიერ შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთასა, რლისა წინაშე განათენებდა ღამეთა მარადის მღვიძარებითა; და ეგრეთვე შეალამებნ დღეთა დაუცხრომელად ლოცვითა მარხვითა და ვედრებითა ღთისათა, განკვირვებულნი სიმრავლესა ზა ამას ღვაწლთა მისთასა, მსახურებდნენ მას მეუღლენი იგი მცველნი სამოთხისა მის მეუფისანი და ესრეთ მუნ მყოფი

1-21 სტრ., 21r

მყოფი წა ნინა მრავალ გზის მივალნ უბანსა მას ურიათასა ენისათვის ებრაელისა, და გამოძიებისათვის კუართისა მის უფლისა, რომლისათვის იგი ესმინა იერუსალიმს, ნიაფორისა მისგან, ვითარმედ წარმოულიათ იგი მცხეთელთა მათ ურიათა რათამცა ყოვლისა კერძოვე ცნა და ეუწყა მას კვართის მის ვითარება:

მაშინ პოვა მან ურია ერთი სახელით აბიათარ მღვდელი და ასული მისი სიდონია, და უქადაგა მათ სახარება უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესი რომელთაცა იგი რწმენა და დაემოწაფნეს მას, მათ თანა სხვანიცა დედანი დაემოწაფნეს ურიანი რიცხვით ექვსნი, სწავლისა მას წისა ნინასსა თვინ იერ ნათლის ღებისა, რამეთუ არა იყო მას ჟამსა მღვდელი რათამცა ნათელ ეცა მათთვის, და იყვნეს იგინი ფარულად მოწაფე მისნი:

აღასრულებდა ღთი ჰელითა წმიდისა ნინასითა, საკვირველებათა და კურნებათა მრავალთა რამეთუ რეცა თუ მიზეზითა წამალთა ხმარებისათა, მრავალნი განკურნებელთა სენთაგან შეპყრობილნი განათავისუფლნა უძლურებისაგან მათისა:

ესრეთ იქცეოდა რა ქალაქსა მას შინა მცხეთას წა ნინა, ჟამთა სამისა წლისათა, მათ დღეთა შინა იქმნა შესვლა მირიანისა, და მმისწულისა მისისა, სპარსთა მეფისა საზერ-

1-20 სტრ., 21v

მნეთად, რომელი ესე კოსტანტინე მეფემან ბერძენთამან იოტნა ძალითა ქრისტესითა, და ჯჷვარისა მისისა წინა მძღვაობითა ყოვლით სპარსეთით მათით; თქმული აკლია სიტყვები, სურნელი და ეპიედ

ეს ყრმასა ვისმე შობილსა თესლისაგან დავითისათა, რომელი რეცა პოვეს მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისა შობილი უჟამოდ უადგილოსა ადგილსა მის ყრმისა მოვიდეს თავყვანისცეს მას, და შეწირეს მისსა ძღვენი იგი მშვიდობით. და იქმნა სიხარული დიდი სმენითა ამის ამბისათა ურიათა ზაქართველთა.

ხაშა დგარდახდეს რა წელნი ოცდა ათნი, მაშინ მოსწერა ანნა მღვდელმან იერუსალიმით, მამისა ჩემისა ელიოზისათანა ესრეთ ვითარმედ იგივე, რომლისათვის სპარსნი მეფენი ძღვნითა მოვიდეს აღზრდილ არს იგი და ასაკსა ზომისასა მიწევნულარს იგი, და თავსა თვისსა ძედ ღთისად ხადის, აწ მოვედით ყლნი სიკვდილსა მისსა რათა აღესრულოს მცნება მოსესი, და წარვიდა აქედამ ელიოზ მამის მამა ჩემი, კაცი მოხუცებული, და ესვა მას დედა ტომისაგან ელი მღვდელისა, და ესვა დაჲ ერთი და ევედრებოდა ელი ოზს დედა მისი ესრეთ წარვედ შვილო წოდებასა მას მეფისასა და წესსა სჯულისასა, გარნა რომელსა განიზრახვენ ნუ შერთვნი ცნობა შენი შვილო ჩემო, რამეთუ იგი არს სიტყვა წინასწმეტყველთა და იგავი ბრძენთა და საიდუმლო დაფარული კლთაგან და წარ

1-21 სტრ., 22r

მართთა, ნათელი და ცხოვრება საუკუნო, და წარვიდა ელიოზ მცხეთელი. და ლონგინოზ კარსნელი და მუნ დახვდეს ჯვარცმასა უფლისასა: ხაქამს იგი დამსჭვალვიდეს უფალსა ჯვარსა ზაქართა და ჰსანიგმან კვერითა მით რკინისათა სცა სამსჭვალთა მათ ზაქართა უფლისათა იერუსალიმს, მაშინ ესმა ჰმა სამსჭვალთა მათგან გამოსრული, დედასა ელიოზისასა მეუფესა მცხეთას შინა, და მეყსრულად იკრჩხიალთა და თქვა მშვიდობით მეფობაო ურიათაო რამეთუ მოკალთ თავისა თქვენისა მაცხოვარი, და მხსნელი, და იქმნენით ამიერითგან მკვლელ და მესისხლე შემოქმედისა, ვაი თავსა ჩემსა რომელ არა მეუფლა მე უწინარეს ამისსა სიკვდილი, რათა არღარა სმენილ იყო ყურთა ჩემთა, და არცაღა შემდგომად ამისსა ღირს ვიქმნენ მე ხილვად ნათლისა, წარმართთა ზაქართა, და მშვიდობა ისრაელსა, მყის შეისვენა რა სრულ ჰყო სიტყვა ესე; ხაქვართი იგი უფლისა ხვდა წილითა მცხეთელთა მათ ურიათა, და მოილო მცხეთად ელიოზ, და მიეგება და მისი ცრემლთა მიერ შესვარული და მოეხვია ჰელსა ძმისა თვისსა ელიოზს, და მოულო მას სამოსელი იგი იესოსი, შეიტკობო მკერდსა თვისსა, და მყის მეყსეულად სულნი წარხდეს მასვე ჟამსა, სამთა ამით ტკივილითა სიმწარითა, ქრისტეს სიკვდილითა, და დედისა თვისისა და ზიარებისათვის უარის მყოფელთა ქრისტესთა ძმისა თვისისა:

1-21 სტრ., 22v

მაშინ იყო საკვირველი დიდი და შეშფოთება მცხეთასა შინა რამეთუ განკვირდა თვით მეფე ადერკი, და ყოველი სიმრავლე ერისა, და მთავართა და სთნდა მეფესა ადერკს. სამოსელი იგი გარნა საკვირველებისა, მისგან ზარ განხდილ და შეშინებულ იქმნა იგი, და ვერღარა იკადრა გამოღებად ჳელთაგან მის მკვდრისათა, რომელსა იგი მაგრად დასურვილით შემოემკრდა, და ესრეთ ჳელთავე მქონებელი სამოსლისა უფლისა დამარხა ძმამან მისმან ელიოზ, და იგი თვისი ადგილსა მას რომელი უწყის ღ~თნ მხოლომან, და არავინ სხვამან, თვინიერ ამისა რომელ ესე უწყიან ვითარმედ არს ადგილი იგი მახლობელ ნაძვისა მის ლიბანისა წარმოღებულისა და მცხეთას დანერგულისა, და აღორძინებულისა. და ესეცა მეუწყა მა მისაგან ჩემისა, ვითარმედ არს სხვაცა სამღრთოთა ძალითა შემოსილი მრჩობლი იგი ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა, და ჳელთა ჩვენთა საკურთხეველისა სიმტკიცესა ქვეშე ქვათა, უპოვნელად ვიდრე ჟამა დმდე მისსა, რ~ მრავალგზის მოიბირა წმიდამან ნინამ, მამისა მიმართ ჩემისა, რათამცა გამოვიწვილიე მისგან ადგილი იგი მჯურ ვალედ სამოსლისა მის. ხ~ მან ესოდენ მრქვა, ვითარმედ აქა არს ადგილი სამარხავი მისიო, რომელსა ზ~ა, ენანი კაცთა ნი არა დადუმნენ გალობად ღ~ისა მიმართ, და არს ადგილი იგი, ადგილი ვ~ა იაკობისა კიბედ ხილული, და ზეცად აღწევნული, და შემდგომად წელთა მრავალთასა, მის წულისა შვილმან ადერკი მეფ ისამ ამაზედა ძიება ჳყო სამოსლისა მისთვის, ურიათა თანა და

1-23 სტრ., 23r

ვერა უძლო პოვნად დაცნობად მისსა, გარნა მასცა ესრეთ მიეთ ხრნა რომელთაგან გამოვითხოვი და ვ~ა ესერა ზემოთ ითქვა ნამ ვისა მის მახლობელად ყოფა ადგილსა მის რომელსა დამარხულ იქმნა. (ხ~ დამარხულ იყავნ ესეცა, ვითარმედ სახლი ელიოზისა რომელმან კვართი უფლისა მოიღო და დამარხა მითურთ დაჲ მისი, იყო ქალაქსა დასავლით წინა მოგუთას ხიდსა ზ~ა, მათ დღეთა შინა იხილა წმიდამან ნინა სამგზის და ოთხგზისცა, ძილსა შინა ჩვენებით რომელი იგი მუხლთა ზ~ა თვისსა მიყრდნობილმან მცირედ რამე მიირუ ლის, რამეთუ ხედვიდა ესრეთ ვითარმედ რეცა თუ მოვიდიან მფრინველ ნი, ფრთითა შავნი შთავიდიან მდინარესა მას შინა განიბანიან და განსპეტაკნიან, და ალვიდიან იგინი სამოთხესა მას შინა პირველ ჳსენებულისა ბაბილოსა, და მუნ შინა მისთვლებდიან ნაყოფსა მისსა, და ყვავილთა მათ იხმევდიან; ესრეთ მოწლედ, და სურვილით წ~ისა ნინას, მიმართ მიიღებდიან რეცა თუ მისი არს სამოთხე იგი, და გარემო მისსა მო

კრბიან იგინი ჟივილითა შჷენიერად: ხ~ ესე ესრეთ რა იხილა წ~ამნ ნი
ნამ, აუწყა მოწაფესა თვისსა სიდონიას, ასულსა აბიათარისასა. რომ
ლისათვის იგი მიუგო მან, და რქვა წ~ასა ნინას, უცხო და აქა არა
შობილო ტყვეო სიტყვისაებრ შენისა, ჩვენ ტყვეთა მხსნელო
უწყი რ~ შენ ზედა მოიწია ახალი ესე ჟამი, და შენ ჟამით ისმეს ამ
ბავი იგი ძველი მამათა ჩვენთა ნაქმარი. ზეცისა კაცისა უბრ
ალოსა სისხლისა უსამართლოდ დათხევა, რომელთა იქმნა ურ
იათა სირცხვილი, და კიდეთა ქვეყანისათა განზნევა მეფობისაგან
დაცემა, და ტადრისა მის წმიდისა მიღება მათგან, ერისა უცხოსა

1-21 სტრ., 23v

წოდება, და მიცემა მათდა დიდებისა მათისა, იერუსალიმ
იერუსალიმ ვითარ განგიმარტავნ ფრთენი შენნი, და შეიკრ
ებ ყ~ლთა ცისკიდეთ ნათესავთა ფრთეთა ქვეშე შენთა; რ~ აჰა აქა
ცა მოსრულ არს, დედაკაცი ესე რომელმანცა შესცვალოს
ყ~ლი წესი ამის ქვეყანისა. და კვალადაც მიექცა წ~სა ნინას
და რქვა ესრეთ, ვითარმედ ჩვენება ეგე შენი მოასწავებს და ცხად
ჰყოფს ადგილსა ამას შენ მიერ სულიერად სამოთხედ შეც
ვალეზასა, და სამლოთოთა ნაყოფთა გამომღებლობასა მისსა
უკვე ხ~ ვითარ მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთით ოტ
ებული, კოსტანტინე მეფისაგან, და ვიდრე მოსულამდე მისსა
განეცხადა წ~ასა ნინას ქადაგება ქრისტეს სჯულისა, რ~ იტყ
ოდა იგი ჳმა მალლად ვითარმედ გპოვენ მკვიდრნი იგი
ჩრდილოსანი ცთომასა შინა, და გამოეჩინნა ჯვარი იგი ნას
ხლევისა, და იქმოდა მის მიერ საკვირველებათა დიდთა, რ~ გან
კურნნის განუკურნებელნი თვინიერ წამალთასა, შეხებითა მით ჯვარ
ისათა, და კვალად ქადაგებდეს მის თანა მოწაფენი მისნი
რომელნი ჰ~ლ ფარულად იყვნეს მოწაფე მისდა რიცხვით
შვიდნი დედანი ნათესავნი ურიათანი, სიდონია ასული
აბიათარ მღვდელისა და სხვანი იგი ექვსნი და სამოთხის მც
ველნი იგი ურთიერთარს მეუღლენი, და აბიათარ მღვდელი
ახალი იგი პავლე, რომელი უშიშად და დაჴცხრომელად ქადაგებდა ქრისტეს სჯულსა

1-20 სტრ., 24r

რომელი ფ~დ მეცნიერ იყო, ძველის სჯულისა, და ახალი
ესე სჯული ესწავა მას წ~ისა ნინასაგან, დაუმეტეს ნინას-
სა ამხილებდა ყ~ლსა კაცსა, და ასწავებდა სჯულსა ჭემმარი-
ტსა ქრისტესსა.

მაშინ აღიძრნეს ურიანი აბიათარსა ზ~ა, რათამცა ქუაჲ დაკრიბეს

მას. ხ~ მირიან მეფემან მიავლინა მსახურნი, განარინა აბიათარ მოკვლისაგან ურიათასა. რ~ აქვდა მირიან მეფესა სურვილი ქრისტეს სჯულისა, ამისთვის რომელ ასმიოდეს მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერნი საბერძნეთით, და სომხითით, და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინას, და მოწაფეთა მისთა, არამედ ბრძოდა მას მტერი იგი ყ~ლთა მიმართ მორწმუნეთა ემმაკი, და ვერ დაამტკიცებდა აღსარებასა ქრისტესსა, და ეგრეთვე ნანა დედოფალიცა უმეტეს და გულფიცხელ შეურაცხის მყოფელი იყო ქადაგებისა მის ქრისტეს სჯულისასა ჭ~ტსა.

ხ~ წ~ა ნინა ესრეთ დაილოცვიდა დაუცხრომელად ნავსაყუდელსა მას მისსა მაყვალსთა ქვეშე, და დაკვირვებულ იყვნეს წარმართნი იგი, ლოცვასა მისსა და მღვიძარებასა, უცხო უჩნდათა საქმე იგი, იწყეს გამოკითხვად მისსა, ხ~ იგი აუწყებდა ძველთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძნობდა უგულის ხმოთა მათ, და შთაუგდებდა გულსა მათსა სიყვარულსა ქრისტესსა. და იყო ესრეთ

1-20 სტრ., 24v

სამ წელ, ვინცა განაცხადა ქადაგება, და დაიმოწაფნა მრავალნი. მაშინ იყო ვინმე ყრმა წული, უფალი მძუძისა სენითა შეპყრობილი და მიმოაქვდა დედასა მისსა, კართი კარად რათამცა ვინმე პოოს მეცნიერი კურნებისა და ყომცა სარგებელი მისი და შეისწავეს იგი ყ~ლთა და არა ოდეს პოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთვის, და მკურნალთაცა რქვეს დედაკაცსა მას, ვითარმედ არა სარგებელ ეყოვის ყრმასა მაგას, და დედაკაცი იგი იყო გულფიცხელი წარმართი და მარადის საძაგეებენ სჯულისა ქრისტიანეთასა, და აყენებდის სხვათაცა მისვლად და კითხვად და მისვლად ნინასა:

ხ~ ვითარცა სასო წარკვეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე ნინოსსა და ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა მაშინ რქვა წ~ამნ ნინამ, კურნება რომელი კაცთაგან არს მე არა რა ვყო, ხ~ ღ~თნ ჩემმან ქმნას რ~ლსა მე ვმსახურებ ქრისტემან მისცეს ყრმასა ამას კურნება რომელი, ყ~ლთაგან განწირულ არს, და რომელსა კილიკსა ზ~ა მარადის ილოცავნ წმიდასა ნინა მას ზედა დადებდა უბრძანა წმიდამან ნინო სნეული იგი, და დაიწყო ვედრებად უფლისა და მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი, და განცოცხლებული და მხიარული მისცა დედასა თვსსა, ხ~ დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე

1-19 სტრ., 25r

და თქვა არა არს სხვა ღ~თი თვინიერ ქრისტესსა რომელსა ქად
აგებს ნინა და დაემოწაფა წმიდასა ნინას და შეუდგა კვალსა მის
სა და ადიდებდა ღ~თსა: მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენ
სა ფიცხელსა დიდსა და მწარესა რომელსა კურნება ვერვინ
შეუძლო. რ~ ყ~ლთა კელოვანთა მკურნალთა წარმოცალიერნეს
წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი, უღონო იქ
მნეს და სასოწარკვეთილ ხ~ აუწყეს ვიეთმე დედოფალსა ვით
არმედ დედაკაცისა მის, ჰრომლისა ტყვისა მიერ რომელსა ქვიან
ნინა, ლოცვითა მისითა მრავალნი სენნი განკურნებიან.
მაშინ უბრძანა მსახურთა თვისთა რათა მოიყვანონ ნინა და
მივიდეს მსახურნი დედოფლისანი, და პოვეს ნინა ქოჩსა
მას ქვეშე მაცვალთასა, ილოცვიდა ჟამსა მეექვსესა, და მიუ
თხრეს ბრძანება დედოფლისა, ხ~ წ~ამნ ნინა რქვა არა
ბრძანებულ არს ჩემდა, სადა ბანაკი ჩვენი არს არა განვიდეთ
მიერ, არამედ დედოფალი აქა მოვედინ საყოფელსა ამას ჩემსა ჭეშმა
რიტსა, და განიკურნოს ძალითა ქრისტესითა. ხ~ მსახურთა
მიუთხრეს დედოფალსა სათქმელი იგი ნინასი. მაშინ დედ
ოფალი გულს მოდგინედ ეტყოდა მათ, შემიმზადეთ მე
მცხედარი და მიმიყვანეთ მისსა, მაშინ წარიყვანეს მცხედრითა

1-19 სტრ., 25v

მსახურთა მათ, და მე მისი რევ და სიმრავლე ერისა მისთანა:
ვითარ მივიდეს საყოფელსა მას წ~ისა ნინასსა დადვეს დე
დოფალი კელიკსა მას მისსა ზ~ა, იწყო წმიდამან ნინამ, ლო
ცვად დავედრებად ღ~თისა მყოვარ ჟამ და მოილო ჯვარი იგი
რომელი აქვდა, და შეახო თავსა და ფერხთა და მხართა სახედ
ჯვარისა, და მეყუსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლ
ებული ჰრწმენა ქრისტე და თქვა არა არს ღ~თი თვინიერ
ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყვე ესე დედაკაცი, და მიერი
თგან შექმნა იგი მეგობრად თვისად შინაურად, და მარადის ჰ
კითხავდა და გამოიწულილევდა სჯულსა ქრისტესსა, და ასწავე
ბს წმიდა ნინა, და აბიათარ ახალი პავლე, და ასული მის-
ი სიდონია, და იქმნა დედოფალი მორწმუნე, და იცნა ღ~თი
ჭეშმარიტი და კითხვიდა დედოფალსა მეფე ვითარ იგი მეყსეუ
ლად განიკურნე და უთხრობდა დედოფალი ყ~ლსა მას, რომ
ელი იქმნა მის ზ~ა, თვინიერ წამლისა ლოცვითა ნინასითა,
და შეხება ჯვარისათა განიკურნა სიმრავლე იგი ერთა, რომელ
თა ეხილვა დაამტკიცებდეს სიტყვასა მას დედოფლისასა, მაშინ მი
რიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად, სჯულსა ქრისტესსა
და მარადის კითხევდა ურია ყოფილსა აბიათარს ძველთა და

1-19 სტრ., 26r

ახალთა წიგნთასა და იგი აუწყებდა ყ~ლსა, და წიგნიცა რომელი
ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, მასცა წიგნსა შინა
პოვა წერილი ესრეთ აღშენებასა მას გოდლისასა, ხმა იყო ზე
ცით ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა მე ვარ მიქაელ
რომელი დადგინებულ ვარ ღ~თისა მიერ მთავრობასა ზ~ა აღმო
სავალისასა, განვედ ქალაქით მაგით რამეთუ ღ~თი დაფარავს, ხ~
უკუანასკნელთა ჟამთა მოვიდეს უფალი იგი ცისა, რომელსა
შენ გნებავს ხილვა, შეურაცხო ერსა შორის შეურაცხსა,
შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი, მეფენი
დაუტეობდენ მეფობასა, და ეძიებდენ სიგლახაკესა, მან გიხ
ილოს ჭირსა შინა დაგხსნას შენ: მაშინ გულის ჳმა ჰყო
მირიან მეფემან რამეთუ ძველნი წიგნნი და ახალნი ემოწმებოდეს, და
ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდეს, და შეექმნა სურვილი
ქრისტეს სჯულისა, არამედ ბრძოდა მტერი იგი უჩინო, დააყ
ენებდა აღსარებასა ქრისტესსა, გულსა ჩაუგდებდა სასოებასა
კერპთასა და ცეცხლისასა, არამედ მარადის ევედრებოდა დედო
ფალისა აღსარებასა ქრისტესსა. და იყო მეფე დედოფლისა მოქცე
ვითგან წელიწადსა ერთსა ორგულებასა შინა. ხ~ ასწავებდა ერსა
დაუცხრომელად წმიდა ნინა, და არავის აუწყებდა თუ ვინა ვარ

1-21 სტრ., 26v

ანუ სადით მოვალ, არამედ ტყვედ იტყოდა თავსა თვისსა
შ~დ ამისსა მოგვი იგი მთავარი სპარსი სახელით ხვარასნეული
იყო, სენითა უკეთურითა და ფიცხლად იგვემებოდა და სიკვ
დილსა მიახლებულ იყო და იყო მთავარი იგი ნათესავით
გან მირიან მეფისა, მაშინ ევედრა წ~ასა ნინას, ნანა დე
დოფალი, და მეფე იხილვიდა საქმესა მისსა, მცირედ ორგ
ულებით ეტყვიან წ~ასა ნინას, რომლისა ღ~ისა ძალით იქმ
კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზად
ენისი, და უცხოებით მოხვედ და შეუვრდი და ზედა აც მათ წყ
ალობა შენი, და მიგანიჭოს შენ ძალი კურნებათა რათა მით სც
ხოვნდებოდი უცხოთა ქვეყანასა, და დიდებულმცა არიან უკ
უნისამდე ხ~ შენ წინაშე ჩვენსა იყავნ ვ~ა ერთი მაწო
ვნებელი შვილთა ჩვენთაგანი, და პატივცემულ ქალაქსა ამას
შინა არამედ უცხოთა ამას სიტყვასა ნუ იტყვი ჰრომთა
მათ შეცთომილთა სჯულსა ნუ გნებავს ყ~დვე თქმად: აჰა ესე
რა ღ~თნი დიდნი სოფლის მპყრობელნი მზის მომფენელნი და
წვიმისა მომყვანებელნი, ქვეყანით ნაყოფთა აღმომცენებელნი,
გამომზრდელნი ქართლისანი, არმაზ, და ზადენ ყ~ლისა დაფარულისა
გამომეძიებელნი, ძველნი ღ~თნი მამათა ჩვენთანი. გაცი და გაიმ

იყვნენ სარწმუნებლად კაცთა მიმართ, და აწ უკეთუ განკურნო შენ მთავარი ესე, გაგამდიდრო და გყო მკვიდრ მცხეთას, შინა მსახ

1-21 სტრ., 27r

ურად არმაზისა, დაღაცათუ ჰაერიტა დასეტყუიტა მოიწია მას ზა შემუსრვა მისი, არამედ იგი ადგილი უძრავი არს ეგე არმაზ და ქალდაველთა ლთი ითრუჯან ყდვე მტერ არიან, ამან შემოადგინა, და მან მას ზა ესევიტარი ურვა მოაწია, ვითარ აქვს ჩვეულება სოფლის მპყრობელთა, და კმა გეყავნ ჩვენგან ბრძანება ესე: მიუგო წამნ ნინამ შენ მეფე სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა დედისა მისისათა და მისთა ყოველთა წმიდათათა, მოავლინენ შენ ზედა ლთნ ცისა და ქვეყანისა შემოქმედმან დამბადებელმან ყლისა დაბადებულისა დიდისა და დიდებულისა მისისა დააურაცხელისა მრავალ მოწყალებისა გან მოავლინენ შენ ვითარცა სახმილისაგან ნაბერწყა ლი ერთი მადლისა მისისა, რათა სცნა და გულის ჳმა ჰყო, სი მალლე ცისა, და ნათელი მზისა, სიღრმე ზღვისა საპირკველისა, და სივრცე ქვეყანისა და საფუძველი მისი, და უწყებულ იყავნ მე ფევ ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა, და ქუხნ ჳმითა ჰაერ ისათა, და იძვრიან ქვეყანა, სიმძაფრითა და რზიან მეხის ტეხანი და ყოველსა მთასა ეგზების ცეცხლი გულის წყრომითა მათითა: ანუ ოდეს შეიძრა ყლი ქვეყანა, ვიდრემდის დაირღუნიან მთანი და მყარნი კლდენი და ქვანი, და მეცნიერ იყავნ შენ ამას ყლსა მიწევნად. რ ლთი არს ცათა შინა უხილავ არს თავადი იგი ყოველთა დაბადებულით აგან თვინიერ მისა მისისა რომელი მისგან გამოვიდა, ქვეყანასა ზა გამოჩნ და ვა კაცი რომელმან აღასრულა ყლი რომლისათვის მოსრულ იყო და აღვ

1-23 სტრ., 27v

იდა მათვე სიმადლეთა მამისათა, და იხილა დაუსაბამო იგი მხოლო მალალ არს, დამდაბალთა ხედავს, და მალალნი იგი შორით იცნის მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ლთსა, მიხედვად რომელი არს ქალაქსა ამას შინა, სასწაული ერთი სამოსელი მისა ლთისა აქა არს, დახალენისა მის ელიასი აქავ არს ყოფა, და მრავალნი სას წაულნი არიან, რომელნი ლთნ გამოაჩინნეს, თუ არა მე კჳლად მთავ არი ესე შენი განკურნო სახელითა ქრისტეს ჩემისათა, და ჳვართა ვნებისა მისისათა, ვა იგი დედოფალი ნანა განიკურნა სენისა გან დიდისა, რა იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი რათა სულიცა თვისი განაბრწყინოს და ერიცა თვისი მიიახლოს ლთსა და მოგვარეს მას მთავარი იგი, და მოვიდა დედოფალიცა ნა ნა, სამოთხესა მას შინა ნაძუთა მათ ქვეშე, და დაადგინა იგი აღმოსავალით დაპყრობად სცნა ჳელნი და რქვა მას სამგზის

ვიჯმნის შენგან ეშმაკო, შეურდები ქრისტესა ძესა ღისასა, და ტიროდა ნინა სულთქმითა თვისითა, და ითხოვდა ღთისაგან შეწე ვნასა კაცსა მას ზა, და იყვნეს მოწაფენი მისნი მუნვე ერთ დღე და ორ ღამე, და მსწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბოროტი და დაემოწაფა წასა ნინას სახლეულით და ერთიურთ მისით და ადიდებდეს მამასა ძესა და სულსა წმიდასა

თქმული დედაკაცისა მის სიდონიასი რომელი იყო მოწაფე წისა ნინასი რმელი ესე იხილა და დაიწერა მოქცევა სასწაულითა მეფისა მირიანისა, და შევრდომა ნინოს აღსარებისათვის ქრისტესისა ჯვარისა აღმართებისათვის, ეკლესიათა აღშენებისათვის და მას შინა სასწაულთა მისთათვის თავი ზ.

1-20 სტრ., 28r

მათ ფრთითა უშჳერთა განზანა წყლითა და განსპეტაკება ბრ წყინვალედ, დასხდომა მათი ხეთა მათ ზა სამოთხისათა, და ხმოზა მათი ხმითა ტკბილითა ქტდ სამოთხე ესე ხორციელი და წარმავ ალი შეგვეცვალოს ცხოვრებად საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღთის, სალოცველად ჩვენდა ვიდრე მოსვლადმდე ჩემდა მღვდელთა საბერძნეთით, და მეყუსეულად მოილო ძალი დაასწავებდა ხუროთა, დამოკვეთა ნაძვი იგი, და ნაძვისა მისგან შემზადნა შვიდნი სვეტნი ეკლესიისანი, და ვითარ აღაშენეს კედელი, იგი ძელითა, და ამართნეს ექვსნი იგი სვეტნი თვის თვისად, ხ სვეტი იგი უდიდესი რომელი საკვირველ იყო ხილვითა სა შუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერა შეუძლეს აღმართებად მისსა, და აუწყეს მეფესა საკვირველი იგი ყოვლადვე ვერა ძვრა ადგილითცა სვეტისა მის. მაშინ მოვიდა მეფე სიმრავლითა ერისათა, და მოიხვნეს მრავალ ღონენი მანქანებნი სიმარჯვითა, და ერისა სიმრავლისა ძალითა, ეცადნენ აღმართებად და ვერ შეუძლეს. და იყო დაკვირვებულ მეფე და სიმრავლე ერისა, და იტყოდეს რამე არს ესე და ვითარ იყო მწუხრი წარვიდა მეფე სახლად თვისად შეწუხებული დიდად ხ წა ნინა, და ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი დადგრეს სვეტსა მას თანა, ხ იგი სანატრელი გოდებით სვეტსა მას

1-19 სტრ., 28v

ზა. დაადინებდა ცრემლთა ვითარცა შუალამე ოდენ იყო წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი არმაზი, და ზადენ რეცათუ ჩამო ირღვეს და დააყენნეს წყალნი ორთავე, და მტკვარმან გარდმო

ხეთქა და წარქონდა ქალაქი, და შეიქმნეს ჳმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი, ეგრეთვე არაგვი გარდამოჭხდა ციხესა ზა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვინვა, შეეშინდეს დედანი დატყოდეს. ხ ნეტარი იგი ღაღადებდა, ნუ გეშინინ დანო ჩემნო მთანი მუნვე ჳგიან. და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხ ესე რომელი რეცა მთანი დაირღვეს სამართლად გვეჩვენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღვეს ქართლსა შინა, და წყალნი რომელ დაეყვნეს სისხლი იგი ყრმათა კერპთა მიმართ შეწირვისა დაეყენოს. ხ ხმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თვისსა, რომელნი არიან მეოტი ამით ადგილით ძალითა მაღლისათა. და ჯვარითა ქრისტესითა, და მოიქეცით და ილოცევდით ღთისა მიმართ მეყსეულად დასცხრეს ჳმანი იგი, და იყო არა რა, და დადგა წა ნინა განიპყრნა ჳელნი და ილოცვიდა ღთისა მიმართ და იტყოდა რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე რომელსა წარმართებულ

1-20 სტრ., 29r

არს მეფე. და ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთა კერძოთა ქალაქისათა დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან: დაღეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრითა, და შეიქმნა ზარი სახდელი ზრზინვა და ყივილი, და კლვა და სისხლი დიოდა და აღივსო ყლი ადგილი, და მოვიდა სიმრავლე ზახილითა, და მახვილითა და სხვათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ხორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა მათისათვის და მსწრაფლ ისმოდა ხმობდეს რა ძლიერად მეფე სპარსთა ხუარაჲ ბრძანებს, და მეფეთ მეფე ხუარან ყოველი ურიანი განარინეთ პირისაგან მახვილისა ესე რა მესმა და მოვეგე ცნობასა, და შეორგულდით მე და ათნი იგი ჩემთანანი და მოახლებულ იყვნეს მახვილოსანნი, გარემოს ჩვენსა სცემდეს, და კვლიდეს. და ისმა ხმა ძლიერი მირიან მეფე შეიპყრესო. გარე მოიხილა მხნემან მოღვაწემან, და თქვა ესე რომელი ყივის ვიცი რომელ აწ სადმე დიდად სჭირს, და მადლობით ღთსა ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლის ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დაბისა. და ნუგეშინის გუცემ და ვა მოძღვარი ჳელოვანი, ჳტდ მოძღვარი და მოციქული სა ნატრელი. მიექცა ერსა მას მომსრველსა და ჳქვა სადა არიან მეფენი სპარსთანი ხვარა და ხუარასა, საბასტანით გუმ

1-21 სტრ., 29v

ინ წამოხვედით მალე მოხვედით, დიდი სადმე ლაშქარნი ხართ და ძლიერი, რად დაღეწეთ ქალაქი ესე, და მახვილი დაეცით ქართა და ნიავთა, წარმოვლეთ ბნელი ჩრდილოთ კერძო მთათა და კედართა აჰა მოვიდა რ~ლსა თქვენ ევლ ტით. და განიპყრნა კელნი ჯვარის სახედ, და მეყუსეულად უჩინო იქმნეს ყ~ლნი იგი და იქმნა დაყუდება დიდი და დედანი იგი ნატრიდეს მას და ადიდებდეს ლ~თსა ხ~ ვ~ა ცისკარი აღმოვიდა მიერულა დედათა მათ, ხ~ მე სიდონია მღვიმარე ვიყავ, და იგი დგა კელ განპყრობით, აჰა ესერა მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას ყ~ლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა და რქვა, რადმე სამნი სიტყვანი, ხ~ იგი დაეცა პირსა ზ~ა, და ჭაბუკმან მან მიყო კელი სვეტსა მას, და აღმალა და წარილო სიმალღესა შინა, და განკვირვებული მივეახლე მე სიდონია და ვარქუ ესრეთ დედოფალო რა არს ესე, ხ~ მან მრქვა მოიდრიკე თავი ქვეყანად, და ტირილად იწყო ზარისა მისგან. და მცირედისა ჟამისა შ~დ აღდგა და აღმადგინა და განვემორენით მას ადგილსა. ხ~ დედანი ვითარ იყვნეს კიდე აჰა იხილეს მათცა სვეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას და დადგა აღშორებულად, ქვეყანით ვით არ ათორმეტ წყრთა, და ნელიად ნელიად ჩამოიცვალეზდა ხარისხად თვისად, მონაკვეთსა ზედა ძირსა ნამვისასა, ვ~ა რიჟ

1-20 სტრ., 30r

რაჟ ოდენ იყო, აღდგა მეფე გულდებული ურვათა გან მიხედნა სამოთხესა დაწყებულსა მას ეკლესიასა, და იგი მტკიცე იყო გონებითა იხილა ნათელი ვ~ა ელვა აღწევნილი ცად სამოთხით მისით, იწყო სრზად დამკვირცხლ მოვიდოდა, და ყოველი სიმრავლე სახლსა მისსა. და ყოველი ერი ქალაქისა მოვიდა. ვ~ა იხილეს საკვირველი იგი ნათლით ბრწყინვალე სვეტი ჩამოვიდოდა ადგილად თვისად, რეცა ვ~ა ზეცით და დადგა ხარისხსა მას ზედა, და დაემყარა კელით შეუხებლად კაცთაგან, და ნეტარ [---] იყო მას ჟამსა შინა, რ~ რა იგი იქმნებოდა შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი, და დიოდეს მდინარენი ცრემლთანი, მეფეთა, და მთავართა, და ყოველსა ერსა სულთქმითა სულისა მათისათა, ადიდებდეს ლ~თსა, და ნატრიდეს წ~ასა ნინას, და იქმნეს სასწაულნი დიდნი მას დღესა შინა.

ჰ~ლად მოვიდა ურია ბრმა შობითგან, მიეახლა სვეტსა მას ლ~თივ აღმართებულისა და იქმნა მხედველ მუნ თქვესვე და ადიდებდა ლ~სა მეორე სეფეწული ყრმა ამზასპანი იდგა რვის წლისა, მოილო დედამან მისმან სარწმუნოებით, და დადგა ცხედრითა წინაშე სვეტ

სა მას ნათლისასა, და ნანდვილვე ნათლისასა ევედრებოდა ნი
ნას მოხედე დედოფალო ძეს, ამას ჩემსა სიკვდილად მიახლე

1-21 სტრ., 30v

ებულსა, რამეთუ ვიცი ღ~თი ღ~თთა იგი არს რომელსა შენ მსა
ხურებ და ჩვენ გვიქადაგებ, მაშინ ნინა შეახო ჴელი სვეტ
სა მას და დასდვა ყრმასა მას, გრწამს იესო ძე ღ~ისა ცხო
ვრებისათვის ყ~ლისა სოფლის ხორცითა მოსრული, ამი
ერითგან განიკურნებდა ადიდებდი მას ვისმან ძალმან განგუ-
რნა, და მსწრაფლ აღდგა ყრმა იგი ვითარცა მრთელი, და დაე
ცა შიში დიდი მეფესა და ყ~ლსა ერსა, და თითო სახენი
სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს ვიდრემდეს, ვიდრემდის მეფ-
ემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სვეტსა მას, და
დაფარა ხედვისაგან, და ეგრეთვე შეეხებოდეს ერნი, და განიკუ-
რნებოდეს მსწრაფლ. იწყო მეფემან და განასრულა ეკკლესია
სამოთხესა მას შინა, და ვითარცა მიიწივნეს მოციქ
ულნი მირიან მეფისანი, წინაშე კოსტანტინე მეფისა და მიუ
თხრეს ყოველი რაცა იქმნა, მაშინ აღივსო სიხა
რულითა მეფე, და დედა მისი დედოფალი ელენე, პირველად ამისთვის
რამეთუ მაღლი ღ~ისა მიეფინებოდა ყ~ლთა ადგილთა, და ჴელ
თა მათსა ქვეშე ნათლის ღებად ყ~ლისა ქართლისა: და შემდგ
ომად ამისთვის გამხიარულდეს, რ~ დადასტურეს მირიან
მეფისაგან სრულიად მოწყვედა სპარსთა, და მტკიცედ მიღე
ბა სიყვარულისა მათისა, და მაღლობდეს ღ~თსა, და წარმოგ
ზავნეს მღვდელი ჴ~ტი იოანე ეპისკოპოზი და მის თანა მღვდელნი

1-22 სტრ., 31r

ორნი და დიაკონნი სამნი, და მოუწერა მეფემან კოსტა
ნტინე მირიანს წიგნი ლოცვისა და კურთხევისა ღ~თისა
მაღლობისა და წარმოსცა ჯვარი, და ხატი მაცხოვრისა, და მის
თანა ნიჭი დიდი, და დედოფალმან ელენემ, მოუწერა წიგნი ქებ
ისა და ნუგეშინისცემისა, მოიწია ეფისკოპოზი, მღვდელ
ნი, და მოციქულნი მცხეთად. და აღივსნეს სიხარულითა
მეფე და დედოფალი და ყოველი ერი მათი, რ~ სურვიელ იყვნეს ყ~ლნივე ნათ
ლის ღებისათვის. მაშინ მსწრაფლ გაგზავნა მირიან
მეფემან ყოველთა ერისთავთა თანა სპასალართა და ყ~ლთა
პირთასა მეფისათა მოწოდებად წინაშე მისსა, და მსწრაფლ
მოიწივნეს ყოველნი ქალაქად, მაშინ ნათელ ილო მეფემ
ან ჴელსა ქვეშე წ~ისა ნინასასა, და შემდგომად დედოფალმან,
და შვილთა მათთა, ჴელსა ქვეშე მათ მღვდელთასა და დიაკონთ
ასა, და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკვარი, და

ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი მიწურვით ხიდისა კარ-
სა მოგვითისასა სადა ყოფილიყო სახლი ელიოზ მღვდლისა,
მუნ ნათელ სცემდა წარჩინებულთა ერთ ერთსა, და ეწოდა
ადგილსა მას მთავართა სანათლავი: ხ~ ქვემოთ მისსა მდინარ-
ისავე პირსა, ორგან ორნი იგი მღვდელნი, და დიაკონნი, ნათელს
სცემდეს ერსა, და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთარს მოსწ
რაფებით, ეუბნებოდენ მღვდელთა რათა პ~ლად მასვე ნათელ სცეს
და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლისღებისათვის რ~ ესმი

1-22 სტრ., 31v

ნათ ქადაგება წ~ისა ნინასი, რომელსა იტყვიან ყ~ლმან
რომელმან არა ნათელ იღოს არა პოოს მან ნათელი საუკუ
ნო და ამისთვის მოსწრაფე იყვნეს ნათლის ღებად ყ~ლნი
იგი, და ესრეთ სახედ ნათელ იღეს ყ~ლმნ ერმან და სიმ
რავლემან ქართლისამან თვინიერ ხ~ არა ნათელს იღეს
მთიულთა კავკასიანთა მიფენასა მას ნათლისასა, არამედ
დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე. და ურიათა მცხეთელთა
არავე ნათელ იღეს გარნა ბარაბიანთა ნათელს იღეს ორ
მოცდა ათმან სახლმან და იქმნეს ჭეშმარიტ, და ამისთვისცა
დიდ იქმნეს წინაშე მეფისა, და მიუბოძა დაბა რომელსა ქვ
იან ციხე დიდი, არამედ არა ნათელ ილო ფეროზ სიძე
მან მირიან მეფისამან რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის
მირიან მეფისაგან, არცა ერმან მისმან ნათელ იღეს, ა~დ
ხორციელად ოდენ მორჩილობდენ მირიან მეფესა. მაშინ წარა
ვლინა მირიან მეფემან, ეპისკოპოზი იოანე, მის თანა წარჩი
ნებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა
ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელ მას ოდენ ჟამსა გამო
ეჩინა ღ~თისა მსახურსა და ღ~ის მსახურს დედოფალს ელენეს, და
ითხოვნა მღვდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს ყო
ველთა ქალაქთა, და ადგილთა, და ნათელს სცემდენ ერთა რათა მსწ
რაფლ ნათელ იღონ ყ~ლმან სულმან ქართლისამან. და ით
ხოვა ქვით ხუროსა მოძღვარნი აღშენებისათვის ეკლესიათა, ვით

1-21 სტრ., 32r

არ მიიწივნეს წინაშე კოსტანტინე კეისრისა, სიხარ
ულით მიანიჭა ძელი ცხოვრებისა, და ფიცარნი
იგი რომელსა ზ~ა ფერხნი დაუმსჭვალნეს უფალსა, და სამ
სჭვალნი კელთანი წარმოგზავნეს მღვდელნი და ხურონი
ფრიად მრავალნი. ხ~ კოსტანტინე მეფემან, მეფობასა შ~ნა
მისსა აღაშენა ეკლესია ტაძარი წმიდა, და მისცა განძი დიდ
ძალი ეპისკოპოზსა იოანეს, და უბრძანა სადაცა ჯერ იყ

ოს ადგილთა ქართლისათა მუნცა აღაშენენ ეკლესიანი
სახელსა ზა ჩემსა, და დიდ ძალი დაამკვიდრე საზ
ღვართა ქართლისათა. და წარმოვიდა ეპისკოპოზი და მის თანა
მოციქული, და ვითარ მოიწივნეს ადგილთა რომელსა ქვიან
ერუშეთი, და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესისა, დაუტ
ევნა განძი, და სამსჭვალნი უფლისანი, წარმოვიდა და
მოვიდა მანგლის, დაიწყო ეკლესიასა დაუტევნა ფიცარნი
იგი უფლისანი, მაშინ შეწუხდა მირიან მეფე. რამეთუ პლ არა
სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს არამედ სხვათა ქალაქთა, და ადგილ-
თა. იწყეს შენებად ეკლესისა, და დაუტევნეს ნაწილნი. ხ მო
ვიდა წა ნინა, და რქვა ნუ სწუხ მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ
არს, სადაცა მოვიდოდნიან და სთესვიდიან სახელსა ღისასა. რ
არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა.
მაშინ მოიყვანა მეფემან, აბიათარ, და მის თანა ურიანი მრ

1-21 სტრ., 32v

ავალნი, და გამოიკითხა მათგან კვართისა მისთვის და მა
თ მიუთხრეს ყლი რომელი ზემო წერილ არს. და აღიპყრნა
ხელნი თვისნი, მირიან მეფემან და თქვა, კურთხეულ ხარ
შენ უფალო იესო ქრისტე ძეო ღისა ცხოველისაო
რ პირველიდგანვე გინდა ხსნა ჩემი ეშმაკისაგან, და ადგი
ლისა მისგან ბნელისა. ამისთვის სამოსელი იგი შენი
წმინდა წარმოეც წმინდით ქალაქით შენით იერუსალიმით, ებ
რაელთა მათ ღთაებისა შენისა უცხო ქმნილთა, და
ჩვენ უცხოთა ნათესავთა, და წარემართა მეფე და ყლი ქალაქი
ქრისტიანობასა იწყებს, ხუროთა შენებად ეკლესიისა გარე
უბანსა მაყვალთა მათ ზა საყოფელ[ს]თა წისა ნინასათა
სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსოდ მაშინ თქვა წამნ
ნინამ, კურთხეულ არს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მამა
უფლისა ჩვენისა, რომელმან მოავლინა სიტყვა მისი წა ცა
თაგან მაღალთა თვით ძლიერისაგან საყდრისა, გარდამოსრული
ქვეყანად მდაბლად შობილი უეჭველად, თესლისაგან დავით
ისისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმინდისა და უბიწოსა, რომელი
სათნო ეყო მას მიზეზთა, მიზეზი ცხოვრებისა ჩვენისა. რომელ
მან ცასა ქვეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნ-
ნა, რომელი ვითარცა კაცი ნათელი ყლთა ხატი ღისა
და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ ილო წყლისა

1-21 სტრ., 33r

გან და სულისა, ჯვარს ეცვა და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა
ამაღლდა სიმაღლესა მამისა თანა, და კვალად მოვალს დიდებ

ით, რომელსა შვენის ყლი დიდება თანა მამით და სულით წმინდითურთ აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე:

ვანათელს იღეს მეფემან და დედოფალმან და შვილთა მათთა, და ყლმნ ერმან მათ მან, მაშინ ედგა ხე ერთი ადგილსა ერთსა კლდესა ზანა შეუვალსა, და იყო ხე იგი შვენიერ ფდ და სუნელად, საკვირველება იყო ხისა მისგან, რომელი ისარ ცემული ნადირი მოვიდის და ჭამის ფურცელი მისი, გინა თესლი ჩამოცვივებული, განერის სიკვდილისაგან დადაცა თუ საკლავსა ალაგსა დიდად წყლულ იყვის. ესე დიდად საკურველ უჩნდათ პლთა მათ წარმართთა, და აუწყეს ეპისკოპოზსა იოანეს ხისა მისთვის, ხე ეპისკოპოზმან თქვა, აჰა ქტად პლგანვე დამარხულ არს ქვეყანა ესე დისაგან მსახურად თვისდა, და დისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი დამარხული ჟამსა ამისთვის, და აწდა მოეფინა მადლი დისა ქართლსა, და მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანი სცენ ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან. და წარვიდა მეფის ძე რევ, და ეპისკოპოზი მის თანა, და სიმრავლე ერისა, და მოკვეთეს ხე იგი. და წარმოიღეს რტოთითურთ მისით, და მოაქვნდა ათსა ათეულსა კაცსა, ზეზე რტოთურთ და ფურცლით, შემოაქვნდა ქალაქად, შემოკრბა ერი

1-23 სტრ., 33v

